

საგზიელო

საქართველოს
პრეზიდენტის
სამდივოს
გამგზავნი

საორტული გაზეთი

პარასკევი 12 მარტი 2004 №55 (2074)

ფასი 50 თეთრი

უსნობი ნაცნობი აისბერგთან ერთი დღეა, ალენ ჟირესი ნახრების მწვრთნელია



ალენ ჟირესმა ალბათ იცის, რომ თვით „ტიტანიკი“ აისბერგს გაეხახუნა და ჩაიძირა, თუმცა ძნელია იცოდეს, როგორ აისბერგს მიაღვა – საქართველოს ნახრებს, რომელიც აქამდე დამარცხებულ მედიდურთა გუნდი უფრო იყო, ვიდრე გამარჯვებულ თავმდაბალთა ერთობა.



როცა ერთი რამ ძნელი, გრძელი და თავგადასავლებიანი ამბავი, ასე, ისე, კეთილად დასრულდება, იტყვიან, და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად.

11 მარტს დეტექტივ-ტრილერ-უბედურების კვანძი გაიხსნა – ალენ ჟირესი საქართველოს ნახრების მწვრთნელად გამოცხადდა. ხოლო ჩვენ, ემოციისგან დაცლილები საფარძელს კმაყოფილებით მივესვენეთ.

და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად?

იხილეთ მერვე-მეცხრე გვერდები

გუგინის ფახურთის დედაქალაქი პაღრიდი გუგინ სასაბლაოდ იქნა



ლიგერული — მარსელი 1:1. დიდი დროგბას ამ გოლმა „ლიგერულს“ გამარჯვება წაართვა



გუგინდელი უეფას თასის მატჩები მძიმე და გლოვიანი იყო

REUTERS ლოგოტიპიდან

REUTERS ნიუჯორკიდან

დავით ყიფიანის თასი
პირველადინალი პირველი მატჩი

ქუთაისი. 11 მარტი. 15 საათი. ტურპილი 1 500 (ტყეადაბა 19 600)
ტორპედო 0:0 სიონი

ტორპედო: სტურუა, მახვილაძე, ს. თოდუა, გამეზარდაშვილი, კოშკაძე, გ. მეგრელი, ნერგაძე, ბოლქვაძე (ჭინჭარაული 65), ბაბუნაშვილი, დავითაშვილი, მუმლაძე (გ. ჩხეტიანი 60) სათადარიგო: გ. გაბელია; ადუაშვილი, ნ. ნადირაძე, გ. დარსაძე, ლ. ქელიძე
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

სიონი: ვოლკოვი, ჭიჭვიშვილი, ს. ბურნაძე, ხუჯაძე, ბაქრაძე, სიჭინავა, გაბისკირია (დარსანი 71), უგრეხელიძე, რ. ონიანი, გ. შენგელია (ე. გვალია 60), გონჩაროვი (ისაიანი 83) სათადარიგო: ა. ლაბაძე, სვანიძე, პ. ნიწვივაძე
მწვრთნელი: თემურ მახარაძე

ბატონობა: გაბისკირია (76), სიჭინავა (77), ჭინჭარაული (90)

მსაჯე: მ. მაღალურაძე (თბილისი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ა. სახარაძე (სოხუმი); მ. მაისურაძე (თბილისი)

სფპ-ის ინსპექტორი: ო. გუნთაძე

ქუთაისი და ტორპედო: კაი ასლა...

არ მჯარა, ბატონო და, გაიბანა და დაგიჯარა

დავით ირაძე ქუთაისიდან

პირველადინალურ წყვილებში ერთი ყველაზე საინტერესო „ტორპედო“-„სიონი“ იყო. 7 მარტის დიდთოვლობის გამო გადადებული ეს შეხვედრა გუმინ გაიმართა და მარტის უმეორე და წვიმიანი ამინდის მიუხედავად მაყურებელი საკმაოდ მოვიდა სტადიონზე. ქუთაისურთა განწყობა პეისიმისტური იყო, თამაშის დაწყებამდე ყველაზე თავდადაკლულ ქომაგსაც არ სჯეროდა თავისი გუნდის წარმატებისა. შეხვედრის დასრულების შემდეგ კი გულშემატკივრებმა საპასუხო მატჩამდე გამოიტყვეს „ტორპედო“.

ასლა მატჩზე: „ტორპედო“ ბევრს ცდილობდა, შეეცა, „სიონი“ კი კონტრშეტევების იმედად იყო. ქუთაისელებმა აგრესიულად დაიწყეს. დავითაშვილმა მუმლაძე მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ მას ვოლკოვმა დაასწრო. მე-17 წუთზე ისევ დავითაშვილის აქტიურობამ გამოაღოცხლა ტრიბუნები. ამის შემდეგ საინტერესო არაფერი მომხდარა, ტაიმი მოედნის ცენტრში ბურთობაში გაილია.



დავით ყიფიანის თასი
პირველადინალი. საპასუხო მატჩი

თბილისი. 12 მარტი. 15 საათი. ოლიმპიკი
სპარტაკი — ამერი (0:0)

მსაჯე: ა. კრიჭავიძე (თბილისი); ი. აფციაური (დუშეთი), მ. ურუშაძე (თბილისი); გ. ასკაროლი (ქარელი); სფპ-ის ინსპექტორი: ს. კუტივაძე

წყალტუბო. 12 მარტი. 15 საათი. 26 მაისი
სამგურალი — დინამო (0:6)

მსაჯე: ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); ა. ნონიკაშვილი (თბილისი), გ. დოგრაშვილი (ქუთაისი); ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); სფპ-ის ინსპექტორი: გ. სორდია

გლაზგო უსისლოდ განითქდა



ალან შირერმა, რა თქმა უნდა, გაიტანა

„სელტიკის“ 73 მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია „ბარსელონამ“ ვერ შეწყვიტა, თავად სვლაკრეფილ კატალონიელებს კი გლაზგოში დაეწივებული მარცხის გემო გაახსენეს.

თვალსაზირო პირველი ტაიმის შემდეგ სერიის გასახლეისკენ მიმავალ გზაზე გაჩაღდა — მასპინძელთა მეკარე დუგლასი და სტუმარი მოტა შეიბნენ, მსაჯემ ორივე ნაღრვეად დაითხოვა და მეტოქეებმა მეორე ნახევარი ათ-ათი კაცით დაიწყეს. დუგლასის ნაცვლად კარში 19 წლის მარშალი ჩაღდა, მაგრამ ბარსელონიელებმა ყმაწვილი დიდად ვერ შეაწუხეს, რადგან მალე ფრანკ რაიკარდს კიდევ ერთი მოთამაშე, ამჯერად სავიოლა გაუძევეს.

ფაქტობრივად, მთელ მეორე ტაიმში რვაკაცა „ბარსელო“ დაცვა უფრო უწყვედა, ვიდრე შეტევა. ასეთ ვითარებაში მხოლოდ 0:1 მარცხი სტუმრებისთვის ურიგო არ უნდა იყოს.

„გენერლები“ ვერაპას თავი კვლავ შეასვენა. წინა ეტაპზე „პარმას“ მძლეველებმა ასლა პენალტით, მაგრამ ისტორიის დაეთარში „ვალენსიას“ დამარცხება მიითვალეს. რაფაელ ბენიტესს ძირეულად შეცვლილი გუნდი ჰყავდა ანკარაში, თურქებს „მესტალიასზე“ კი სულ სხვა სუფრას გაუშლია.

ფაბიო კაპელო იგივე გაიმეორა, რაც „გაზიანთეფსფორთას“. ტოტი არ წაიყვანა, კასანო კი მოედანზე გვიან შეუშვა. მწვრთნელს ასე უნდოდა ფონს გასვლა, მაგრამ „ვილიარეალი“ უფრო წინდახედული აღმოჩნდა და რომაელებთან საკმაოდ სოლიდური ფორა შეიქმნა.

ფერარ ულიეს „ლივერპულმა“ „მარსელი“ ისეთი ანგარიშით გაისტუმრა, ფრანგებს რომ აწყობოთ. საპასუხო მატჩში „ველოდრომზე“ ფრიად საინტერესო შეხვედრა გაიმართება, ულიეს კი უფროს თასიდან გაკარდნას ალბათ, აღარ აპატიებენ და სამშობლოში დატოვებენ.

„ინტერის“ ქომაგებს საქმე საზვიამოდ აქვთ — „შავ-ლურჯებმა“ არ წააგეს.

„ნიუკასლი“ სტუმართა გოლმა გააშმაგა და „მალდორკა“ ოთხი საპასუხოთი უმაღლეს დანაშაულად ჩაივინა და ყვითელი ბარათები ბლომად მოხვეტეს, მერე ერთი წითელიც ათივისეს და „ნიუკასლს“ საქმის ბოლომდე მიყვანა არ გასჭირვებია.

გაზა ხუციფილი

უაფას თასი
UEFA CUP 1/8 ფინალი. პირველი მატჩი. გუგუნი

ბორდო (საფრანგეთი) 3:1 ბრისბი (გელგია)
0:1 ვერპენი (58), 1:1 სელადესი (59, 71), 3:1 რიურა (87)
ბორდო: რამე, შემალი (ბასტო 46), კანიერა, პლანუსი, ფურტიერი, სელადესი, ედუარდო კოშკა, ზობა-მაგუბა, რიერა, შამპი, ფერდუსი
მწვრთნელი: მიშელ პავანი
ბრისბი: ვერლინდენი, ვან დერ პიდენი, როზენალი, გვოზდენოვიჩი, სიმონი, კლემანი, ბ. მარტენსი, ნ. ჩეპი (სმოლდერსი 83), ვერპენი, მენდოსა (შატერსი 83), ლანგე (სიმოეში 73)
მწვრთნელი: ტრონდ სოლიედი
გაფრთხილება: გვოზდენოვიჩი (32)
მსაჯე: სტივ ბენეტი (ინგლისი)
13 500 მაყურებელი

ბენფიშე (პორტუგალია) 1:0 ვალენსია (ესპანეთი)
1:0 დაემსი (12)
ბენფიშე: ბოტონჯიჩი, დაემსი, ელ საკა, ერკანი, ოზქანი, იულა (ვე-ისელი 90), ბოზუურტი, სკოკო, თანდოგანი, ბარისი, სერქანი (მბაიო 79)
მწვრთნელი: ერსუნ იანალი
ვალენსია: პალომი, გარიდო, რ. აიალა, კარბონი, დ. ნავარო, ხისკო, ალბელდა, ხუან სანჩესი (ვისენტი 80), სისოკო, ანგულო (რუფეტე 77), ოლივერა (კანო-ბიო 55)
მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი
გაფრთხილება: ბარისი (59), იულა (90), კარბონი (90)
მსაჯე: ტომ-შენინგ ოვრეხო (ნორვეგია)
25 000 მაყურებელი

ოსარი (საფრანგეთი) 1:1 სპ ვინდჰოვანი (ჰოლანდია)
1:0 ტაინიო (36), 1:1 ლუსიუსი (71)
ოსარი: კული, ფაურე, მინო, გრიხტინგი, დიუმბე, ვიოლო, ლაშუერი, ტაინიო (სირიექსი 85), კალუ, ჯ. სისე, აკალე (ა. გონსალესი 82)
მწვრთნელი: გი რუ
სპ ვინდჰოვანი: ვატერუსი, კოლინი, პოფლანდი, ბუმა, ი. ლი, ლუსიუსი, ვან დერ შაფი (ე. ადო 85), ვან ბომელი, ჯ. დე იონგი, რობენი (პარკი 35), კეუმანი
მწვრთნელი: გუს ჰიდინგი
გაფრთხილება: ვან ბომელი (20), კოლინი (56)
მსაჯე: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)
18 000 მაყურებელი

მილანი (იტალია) 4:1 მალდორკა (ესპანეთი)
0:1 კორეა (58), 1:1 ბელამი (67), 2:1 შირერი (71), 3:1 რობერი (74), 4:1 ბრამბლი (84)
მილანი: გიგენი, ა. პიუზი, ბრამბლი, ობრაინი, ბერნარი, დაიერი (ამბროზი 87), ჯენასი, სპიდი, რობერი, შირერი, ბელამი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
მალდორკა: ლეო ფრანკო, ფ. ნინიო, კამპანო, ნაგორე, ედუ მოია, კორტესი, კოლსა (მარკოსი 65), ლუსენსოვი, ნენე, ეტო, კორეა (ფინიდი 65)
მწვრთნელი: ლუსი არაგონესი

გაფრთხილება: ედუ მოია (35, 83), კორეა (35), კამპანო (45), კორტესი (59), ლუსენსოვი (62), კოლსა (65), დაიერი (69), ნაგორე (75)
გაძეგება: ედუ მოია (83)
მსაჯე: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)
38 012 მაყურებელი

პანფილა (პორტუგალია) 0:0 ინტერი (იტალია)
პანფილა: ფ. მორეირა, მ. მონტიერო, ლუიზაუ, რიკარდუ როჩა, არმანდუ სა (როლანდი 70), ტ. მენდუში, ა. პეტი, ზაპოვიჩი (მ. ფერნანდუში 80), ჯოვანი (ჟოაუ პერეირა 62), სიმო, შოკოტა
მწვრთნელი: ხოსე ანტონიო კამარო
ინტერი: ტოლოდო, ი. კორდოზა, ადანი, კანავარო, პელეგეი, კ. ძანტი, ფარინო-სი (ოკანი 46), ხ. ძანტი, კარაგუნისი, რეკობა (ხ. კრუზი 57), ო. მარტინსი
მწვრთნელი: ალბერტო ძავერონი
გაფრთხილება: პელეგეი (13), ფარინოსი (39), პეტი (44), კ. ძანტი (73), კორდოზა (79)
მსაჯე: იან ვეგერეფი (ჰოლანდია)
64 569 მაყურებელი

სელტიკი (შოტლანდია) 1:0 ბარსელონა (ესპანეთი)
1:0 ტომპსონი (59)
სელტიკი: დუგლასი, მაქნამარა, ბალდე, ვარგა, აგატი, ა. ტომპსონი (სილა 83), პირსონი, ლენონი, ს. პეტროვი, ლარსონი, კ. ბიტი (მარშალი 46)
მწვრთნელი: მარტინ ონილი
ბარსელონა: ვალდესი, რაიციგერი (ხერარდი 64), პუიოლი, გაბრი, ოლეგერი, ხაგი, კოკუ, მოტა, ლუსი გარსია (კვარესმა 72), რონალდინიო (ოვერმარსი 89), სავიოლა
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
გაფრთხილება: ვარგა (37), რაიციგერი (55), ბალდე (57)
გაძეგება: დუგლასი (45), მოტა (45), სავიოლა (49)
მსაჯე: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
60 000 მაყურებელი

ლივერპული (ინგლისი) 1:1 მარსალი (საფრანგეთი)
1:0 ბაროში (55), 1:1 დროგა (78)
ლივერპული: კირკლანდი, ფინანი (ბისკანი 89), პიპია, ანზო, კარაგერი, პამანი, ჯერარდი, მერფი (შესკი 82), კიუელი, ოუენი, ბაროში
მწვრთნელი: ფერარ ულიე
მარსალი: ბარტეზი, მეიტე, ბეიე, შემდანი, ს. პერესი (დ. ფერეირა 62), ს. ნდო-აიე, დოს სანტოსი, ფლაშინი, ბატლე (მერიეში 67), მარლე, დროგა
მწვრთნელი: ჟოზე ანიგო
გაფრთხილება: ბარტეზი (88)
მსაჯე: იური ბასაკოვი (რუსეთი)
41 270 მაყურებელი

ვილიარეალი (ესპანეთი) 2:0 რუმბა (იტალია)
1:0 ანდერსონი (28), 2:0 ხოსე მარი (35)
ვილიარეალი: რენია, კიკე ალვარესი, კოლოჩინი, ბელტი, ხაგი ვენტა, ბატალია, ხოსიკო (მარტი 53), როხერი, რიკელმე, ს. ანდერსონი (ვიქტორი 90), ხოსე მარი
მწვრთნელი: ფრანსისკო გარსია
რუმბა: მოტი, ძეზინა, დელასი (დაგოსტინო 87), სამუელი, პანუჩი, მანსინი, ტო-მაზი, ემერსონი, ფ. ლიმა, მონტელა (კასანო 46), კარეუ (კორეია 80)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ლიმა (31), ბატალია (48)
მსაჯე: ფრანკ დე ბლეკერი (ბელგია)
21 000 მაყურებელი

საპასუხო მატჩი ბაიზაროში 25 მარტს



ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. პირველი სასუსო მატჩი



რეალი (მადრიდი, ესპანეთი) 1:0 ბაიერნი (მიუნხენი, გერმანია) (1:1)
1:0 ზიდანი (32)

რეალი: კასილასი, სალგადო, მესია, ელგერა, რაულ ბრაგო, ფიგუ, ბექემი, გუტი (ბორხა 90),
სოლარი (კამბიასო 90), ზიდანი, რაული

ბაიერნი: კანი, სანიოლი (სალიპამიჯინი 67), კუფური, რობერტ კოვაჩი, ლიზარაზუ, პარგრეისი
(შვაინსტაიგერი 46), დემიკელისი, ზე რობერტო, ბალაკი, მაკაი, პიზარო (სანტა კრუზი 68)

მწვრთნელი: კარლუშ კეირუში
მწვრთნელი: ოტმარ პიციფელი
გაფრთხილება: ზე რობერტო (14), სალგადო (15), ლიზარაზუ (69)
მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)
78 000 მაყურებელი

ფინალში რაღა უნდა იქონს?! ჰიტფელდს ებონა, კაიროშმა იცოდა, ზიდანმა შეასრულა

ამ მიმოხილვის ავტორს თუ ჰკითხავთ, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ულოგიკოდ არაფერი მომხდარა. მიუხედავად იმისა, რომ „რეალს“ მიზეზთა გამო რობერტო კარლოსი და რონალდო გამოაკლდნენ (ანუ მისი დასუსტების ილუზია შეიქმნა), მადრიდელთა შემადგენლობაში რჩებოდნენ ზიდანი, რაული, ბექემი და ფიგუ, რაც იმას ნიშნავს, რომ თუნდაც ხსენებული ორი მთამამის გარეშე მადრიდელებს მთელ რიგ პოზიციებზე მსოფლიოს ნებისმიერ გუნდთან დიდი უპირატესობა რჩებოდათ და მათი მოგებაც სრულიად ჯდებოდა ლოგიკის ჩარჩოებში. ბუნებრივი გახლდათ, რომ „ბაიერნიც“ გამარჯვებას ელოდა. ეს უპირველეს ყოვლისა იმით იყო განპირობებული, რომ ორი კვირის წინ, „ოლიმპიაშტადიონზე“ მიუნხენელებმა ძალიან კარგად ითამაშეს, შეიძლება ითქვას, საკუთარ თავს აჯობეს და ეს იმედის საბაბს იძლეოდა. პლუს ფსიქოლოგიური მომენტი: იმ, ჩინებულად ნათამაშე მატჩში „ბაიერნმა“ თავმოყვარე მეკარის დასანანი შეცდომის გამო ვერ მოიგო, რაც საპასუხოში საგანგებო მობილიზაციის საბაბი უნდა გამხდარიყო.

მადრიდში რომ შექმნა: ღიახ, ის „ბაიერნის“ და რაგინდა რა მეტოქესთან მომენტებს შექმნის. მეტიც, ეს ამ დღეს არ გამოვიდა, თორემ მომენტებსაც შექმნის და გოლსაც გაიტანს, ასე რომ, კვლავ ყველაფერი ლოგიკურია.

მომენტები შექმნა „რეალმაც“, პლუს გოლი შეავლო და მეოთხედფინალში გავიდა. განსჯისთვის: გოლი ზინედინ ზიდანმა გაიტანა, ზიდანი კი ის კაცია, ვინც ორჯერ შეავლო მსოფლიოს 1998 წლის ფინალში, ერთხელ 2001 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში, ევრო 2000-ის ნახევარფინალში, დამატებით დროში პორტუგალიელთა კარში „ოქროს გოლის“ მომტანი პენალტის დარტყმა უყოყმანოდ იტვირთა და საერთოდ, რაც უფრო საპასუხისმგებლო და დამაბულია შეხვედრა, მით მეტია ალბათობა, რომ ზიზუ მის მოგებას პირადად იკისრებს. მოკლედ, აქაც ყველაფერი ლოგიკური გახლავთ.

„ამ დაპირისპირებაში იმიტომ გავიმარჯვეთ, რომ ჩვენი მცველების საქმისადმი დამოკიდებულება უბრალოდ ფანტასტიკური იყო. ეს გახლდათ უძნელესი მატჩი, რომელიც კონცენტრაციის, დისციპლინის და თავდადების წყალობით მივიყვანეთ წარმატებულ



ზინედინ ზიდანმა ბურთი ბაიერნელებისთვის მერ გაიმეტა

ბოლომდე — განაცხადა მატჩის შემდეგ „რეალის“ პორტუგალიელმა მწვრთნელმა კარლუშ კეირუშმა — დღეს ზიდანი მისთვის ჩვეულისგან ოდნავ განსხვავებულ პოზიციასზე ვათამაშეთ, მაგრამ სანტიაგო სოლარიმ და ლუიშ ფიგუმ დიდებული დახმარება გაუწიეს. ერთი რამ კი ხაზგასმით მინდა დავძინო: დღევანდელი მატჩის მონაწილეებზე კარგად ლაპარაკი ერთია, მაგრამ არ უნდა დაგავიწყდეს, რომ „ბაიერნის“ ძლევაში თავისი დიდი წვლილი რონალდომ და რობერტო კარლოსმაც შეიტანეს. მათ მიუნხენში ითამაშეს ბრწყინვალედ. ამავდროულად „ბაიერნს“ მინდა კომპლიმენტი ვუთხრა. დღევანდელ თამაშს ფინალობა დამწვენიდებოდა.“

„ბაიერნის“ მწვრთნელი ოტმარ პიციფელი: „გვეკონა მეოთხედფინალში გასვლის შანსი

გვეკონდა, მაგრამ უნდა განვაცხადო, რომ როგორც ორი კვირის წინ მიუნხენში, ისე თამაში ვერ შევძელით. „რეალმა“ ძალიან კარგად დაიწყო, ჩვენ კი ვფიქრობდით მატჩს თავიდანვე გავაკონტროლებდით და ამასობაში დაცვის შეცდომის გამო გოლიც გავუშვით. შემდეგ, ორი თუ სამი კარგი მომენტი გვეკონდა, მაგრამ იბალმა გვაქცია ზურგი. დღეს იბალის მთლიანად მადრიდელებისკენ იყო, რომელთა შორის განსაკუთრებით ძლიერად სოლარიმ ითამაშა. თუმცა, ყოველივე ამაში არის დადებითი მომენტებიც. კერძოდ, დღეს გუნდი, ზოგადად, გაცილებით უკეთ თამაშობს, ვიდრე ორი კვირის წინ თამაშობდა. მწამს, „რეალთან“ გადახდილი ბრძოლის შემდეგ ბუნდესლიგაში ბრემენის „ვერდერსაც“ ვაჯობებთ.“

პაპუნა კვიციანი

უსპერსული კითხვის მოსპერსებული პასუხი

მადრიდის „რეალის“ ჩაუქი ალბიონელი დევიდ ბექემი „ბაიერნთან“ საჩემპიონთალიგო შეხვედრაში ჩინებულად გაისარჯა — გერმანელი მცველები ხომ გაანანა და გოლშიც თავისი ნილი დაიდო. ბექემი მეოთხედფინალში „რეალის“ მეტოქეებს მშვიდად ელოდება და ამბობს, რომ მისი გუნდი ნებისმიერ მონინააღმდეგეს ერთნაირი შემართებით შეებრძოლება. ნამატჩევეს ინგლისელმა ვარსკვლავმა „ლიბრედირექტოსთან“ ინტერვიუსთვისაც მოიცალა

ლის“ მეტოქეებს მშვიდად ელოდება და ამბობს, რომ მისი გუნდი ნებისმიერ მონინააღმდეგეს ერთნაირი შემართებით შეებრძოლება. ნამატჩევეს ინგლისელმა ვარსკვლავმა „ლიბრედირექტოსთან“ ინტერვიუსთვისაც მოიცალა



ბექემს განჩესტმერი ეწყინა

— რას იტყვით „ბაიერნთან“ განვლილი მატჩის შესახებ?
— ძალიან კმაყოფილი ვარ. შესანიშნავი თამაში იყო და „ბერნაბეუს“ ინჩადამაც უდიდესი დახმარება გაგვიწია. მინდა, „რეალის“ ქომაგებს გუშინდელი მხარდაჭერისთვის მადლობა გადავუხადო.

— საგოლე კომბინაცია, რომელიც ზიდანმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა, სწორედ თქვენ წამოიწყეთ...
— ჩვენ ჩვენს სტილში ვითამაშეთ და გერმანელებიც იძულებულნი გახდნენ, მსოფლიოს უპირველეს გუნდთან დამარცხება ელიარებინათ. ძალიან გვინდოდა „ბაიერნის“ დამარცხება. „რეალი“ მეტოქეზე უკეთესად გამოიყურებოდა და მეოთხედფინალში გასვლაც სამართლიანად გვერგო. ის გოლი კი ფანტასტიკური იყო. მიხარია, რომ ამ ტრიუმფის მონაწილე ვარ.

— პარასკევს ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრა. სამეოთხედფინალოდ რომელ მოწინააღმდეგეს ისურვებდით?
— ვერ გეტყვით, როდესაც ვათამაშებთ ამ ეტაპზე მიხვალ, უკვე სულერთია, რომელი გუნდი შეგვხვდება. ცხადი მხოლოდ ისაა, რომ უკიდურესად ძნელი მეოთხედფინალი იქნება. ამიტომ ილუზიებით თავს არ ვიტყუებთ და ნებისმიერ მეტოქეს ძალით შევევებით.

— გეთანხმებით, მაგრამ თუ ინგლისური გუნდი შეგვხვდათ, საგარაულოდ, პირადად თქვენი ემოციური განწყობა მაინც სხვანაირი იქნება...
— შეიძლება ასეც იყოს. ალბათ, საკმაოდ უხერხულად ვიგრძნობ თავს ინგლისში „რეალის“ თეთრი მაისურით რომ დამინახვენ. თუმცა დაველოლოთ, კენჭისყრა რამელ გუნდს ვვარგუნებს...
— ალბათ გიკვირთ თქვენი ყოფილი გუნდის, „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოულოდნელი ფიასკო...
— არა მარტო გაკვირვებელი, არამედ ძალიან გულნატკენიც ვარ. კლავჯც „მანჩესტერის“ ფანად ვრჩები და, ბუნებრივად, მისი მრვედფინალთან გამოვლება ჩემთვის დიდი იმედგაცრუება იყო. თუმცა რას ვიზამთ, დიდი ფეხბურთი ხანდახან დიდად უსამართლოცაა.

— პრიმერაზე ვთქვით რამდენიმე სიტყვა „სარაოსასთან“ ვერ ესპანეთის ჩემპიონატში, ხოლო მომდევნო კვირას კოპა დელ რეის ფინალში გინვით ძალების მოსინჯვა. ვიქტორ მუნისის შეგირდებთან ორმაჟ ჭიდილს როგორ შეაფასებდით?
— ჩვენთვის საკმაოდ დამაბული კვირა მოდის. პრიმერადივიზიონში და თასზეც დროის მცირე შუალედში გვიწევს თამაშები, რაც, რა თქმა უნდა, ფეხბურთელებზე დამლულად იმოქმედებს.



ჩემპიონთა ლიგა 2003-2004. მერვედი. საასუსო მატჩები

მონაკო (საფრანგეთი) 1:0 ლოკომოტივი (მოსკოვი, რუსეთი) (1:2)
 1:0 პრსო (60)

პრსო ვერ გაიტანა პენალტი (18, მეკარე)

მონაკო: რომა, იბარა, როდრიგესი, გივე, ევრა, ბერნარდი, ზიკოსი, როტენი, პრსო (პლასილი 90), ადებაიორი (სისე 77), მორინტესი

მწვრთნელი: დიდიე დეშანი


ლოკომოტივი: ოფინიკოვი, სენიკოვი (გურენო 65), ასატიანი, პაშინინი, ნიფეგოროდოვი, ვესევი, მაშინოვი, ლოსკოვი, იზმაილოვი, ობიორა, აშვითიანი (პარკსი 67)

მწვრთნელი: იური სიომინი

გაფრთხილება: პაშინინი (18), ლოსკოვი (19, 22), ასატიანი (23), პრსო (39), ბერნარდი (45), ობიორა (45), ვესევი (60)

გაძველება: ლოსკოვი (22)

მსაჯი: ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა (პორტუგალია)
 20 000 მაყურებელი



დმიტრი ლოსკოვის (მარჯვნივ) ფეხების ქნევა გაძველებად დაუჭდა

დადომ კოშმარი გადადო სიომინმა უნახავი ნახა

ნამატრევეს იური სიომინს „სპორტ-ექსპრესის“ კორესპოდენტმა ჰკითხა, მსაჯობას როგორ შეაფასებთო. „ამ კითხვას აუცილებლად უნდა ვუპასუხო? — მიუგო მწვრთნელმა — არასოდეს მინახავს, რომ გვერდით მსაჯს პენალტი დაენიშნოს. ჩვენი გუნდის კაპიტანს უფლება ჰქონდა, მთავარი არბიტრისგან ახსნა-განმარტება მოეთხოვა. სამწუხაროა, მაგრამ პირველივე ტაიმში კაცნაკლულნი დავრჩით. ძალიან გაგვიჭირდა, ფეხბურთელებზე მომხდარმა დამთრგუნველად იმოქმედა და გუნდი მოიშალა. მიუხედავად ამისა, ბიჭებზე აუგს ვერ ვიტყვი. მათ ჯგუფში რამდენიმე ბრწყინვალე მატჩი ითამაშეს, თუმც დაუკმაყოფილებლობის გარკვეული გრძნობა მაინც მაქვს, რადგან ვფიქრობ, რომ „მონაკოს“ ძლევა და მეოთხედფინალში გასვლა ნაღდად შეუძლებელი“.

კითხვაზე, აპირებს თუ არა „ლოკომოტივი“ მსაჯობის გაპროტესტებას, სიომინმა უპასუხა: „ეს უაზრობაა. მეტოქისთვის ბოლო მოსკოვშივე უნდა მოგვედო. მწარედ გაგვახსენდება შინ გამოუყენებელი მომენტები“.

რუსული გაზეთის კორესპოდენტი ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ვიარჩესლავ კოლოსკოვსაც დაუკავშირდა და პორტუგალიელ არბიტრთა შრომის შეფასება სთხოვა. კოლოსკოვმა მიუგო, არ შეცალა,

მატჩს პირველი ტაიმის ბოლოდან ვუყურე და საერთოდ, ეს ჩემი საქმე არააო.

ლუსილიუ კარდოზო კორტეს ბატისტა პორტუგალიელი მსაჯია. მას რუსები კარგად იცნობენ. შარშან რუსეთ — უელსის პირველი მატჩი განსაჯა, რომელშიც ოფინიკოვი და მოსტოვოვი გააფრთხილა და მათ კარდიფში საასუსო შეხვედრა გამოტოვეს.

ლუსილიუ ბატისტამ მონაკოში ამბები დაატრიალა. მე-18 წუთზე ემანუელ ადებაიორი საჯარიმოში შეიჭრა, პაშინინს გასცდა და წაყირავდა. მთავარი მსაჯი თითქოს დასტუვენას არ აპირებდა, მაგრამ გვერდითმა ალამი ააფრიალა და პენალტი დაინიშნა. პაშინინმა, რომელიც დანაშაულს უარყოფდა, ყვითელი ბარათი მიიღო. თანაგუნდელს კაპიტანი დმიტრი ლოსკოვი გამოესარჩლა და ბატისტამ ისიც გააფრთხილა.

დადო პრსოს ოფინიკოვმა აჯობა და „ლოკომოტივიმ“ სამართლიანობა იხიმა, მაგრამ სიხარული სამ წუთში მსაჯმა ჩაუმწარა. ლოსკოვი მოედნის ცენტრში მეტოქეს ფეხებში იმ იმედით ჩაუხტა, რომ ბურთს აართმევდა, მაგრამ ბატისტამ შექნიშანი აუწიო — მეორე ყვითელი ბარათი, იქვე წითელიც და მწვანე ბალახიდან სათადარიგოთა სკამზე გააგზავნა.

ისედაც უკბილოდ მოთამაშე „ლოკომო-

ტივი“ მთლად აიჭრა. მოსკოველებს არგაშევებზე უნდა ეზრუნათ და დაცვაში ჩასხდნენ. სანამ შეეძლოთ, ივერიებდნენ მეტოქის შეტევებს, თუმც მეორე ტაიმში დადო პრსომ მაინც გაიტანა. იმ მომენტში, როცა ხორვატი კარში ურტყამდა, ადებაიორი წაქცეული, მაგრამ თამაშარე მდგომარეობაში იყო. სტუმრები, ცხადია, აპროტესტებდნენ, ბატისტამ კი გოლი ჩათვალა.

დადო პრსომ ნამატრევეს თქვა: „პენალტის გაფუჭება ძალიან განვიცადე და შეცდომა რომ არ გამომესწორებინა, ალბათ მთელი

ცხოვრების მანძილზე დავიტანჯებოდი. დამის კომშარს გადავურჩი“.

დიდიე დეშანი: „პირველივე ტაიმში რიკნობრივი უპირატესობა გვქონდა, მაგრამ გოლი ვერ გავიტანეთ. მიუხედავად ამისა, სიმშვიდე შევინარჩუნეთ და მიზანს მივადვინეთ. მეოთხედფინალში „რეალთან“ და „მილანთან“ შეხვედრა ნამდვილად არ მსურს. ნაცნობ გუნდებთან, „დუბორტეოსთან“ და „ლიონთან“ თამაშის პერსპექტივაც არ მხიბლავ. ჩამოთვლილთა გარდა ნებისმიერ მეტოქეზე თანახმა ვარ“.

მამა ხუციშვილი

ანჩელოტიმ ბოლი აეჭვიანა მფრთხელმა უფრენკო გაგუდა

მილანი (იტალია) 4:1 სპარტა (პრაღა, ჩეხეთი) (0:0)
 1:0 ინმაგი (45), 2:1, 3:1 შევჩენო (66, 79), 4:1 გატუზო (85)

მილანი: დიდა, ვაფუ (კოსტაკურტა 89), ნესტა, მალდინი, პანვარო, გატუზო, პირლო, ამბროზინი, კაკა, შევჩენო (რუი კოშტა 87), ინმაგი (ტომასონი 76)

სპარტა: ბლაჟევი, პერგლი, პუბშმანი, იოჰანა, ლაბანტი, პობორსკი, რადოსლავ კოვაჩი, ზელენცა (იონი 57), შივოკი, მიხალიკი (ვ. გლუშევიჩი 71), სტაინერი (პოლედოვა 88)

მწვრთნელი: ირეი კოტრბა

გაფრთხილება: შივოკი (7), პერგლი (25), გატუზო (86)

მსაჯი: მარკუს მერკი (გერმანია)
 60 000 მაყურებელი



ანდრეი შევჩენკომ ამ ბურთის პრადელთა კარში შეგდება ითავა

ვინ, თუ არა ანდრეის შევჩენკო? „მეწვრთნელი“ მილანს ალბათ დიდი ხანია, არ უნახავს ის, რაც 87-ე წუთზე ნახეს. მოედნიდან გასულ უკრაინელს კარლო ანჩელოტი ისე ჩაეხტა, რომ მწვრთნელის ცოლს შეშურდებოდა.

შევჩენკოს არაერთხელ გაუტანია გადაწყვეტი გოლები და ამჯერადაც შეძლო. შეხვედრის დასრულებამდე 24 წუთი იყო დარჩენილი, „სპარტა“ კი სასურველი ანგარიშის შესანარჩუნებლად იბრძოდა. ჯუზეპე პანკარომ მარცხენა ფლანგიდან ბურთი შორეულ ძელთან ჩაჰკიდა, უკრაინელმა ფორვარდმა საჯარიმო განივად ისე გადაკვეთა, თითქოს წინასწარ იცოდა, სად დაეშვებოდა ბურთი და ახლოდან თავური დარტყმით იარომირ ბლაჟევი უმანსოდ დატოვა.

პრადელებს მეოთხედფინალში გასასვლელად გათანაბრება სჭირდებოდათ და მეორე გოლის გასატანად მოიმართნენ, მაგრამ შევჩენკომ ბლაჟევი კვლავ გააოცა, როცა წინ გამოსულ მეკარეს იუველირული სიზუსტით დარტყმული ბურთი მარჯვენა ფეხთან გაუსრიალა და კარში შეაგორა. ეს უკვე „მილანის“ გამარჯვებას ნიშნავდა. „შავ-წითლებს“ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე ერთ მატჩში სამი არ გაეტანათ და „სპარტასთან“ გაილაღეს. თვით ჯენარო გატუზომაც გაიხარა. საჯარიმოს გარედან დაჰკრა, ჩეხმა მცველმა კი ბურთს მიმართულეა შეუცვალა, რომელიც მეოთხედ შეგორდა სტუმართა კარში.

გოლების ჩამოთვლისას ფილიპო ინმაგის დავიწყება არ ეგების. მისი თავური პირვე-

ლი ტაიმის მიწურულს საამო სანახავი გამოდგა. ბლაჟევი თითქოს ვითარებას აკონტროლებდა, მაგრამ მაინც უძლეური აღმოჩნდა, რადგან ბურთი უცნაური ტრაექტორიით ჩაეშვა კარში.

არანაკლებ საინტერესო იყო ჯენარო გატუზოს საგოლე ზეიმი. მისურა ძლივს გაიძრო, თითქოს ნათხოვარი და სხვისა ეცვა. მერე ჩაცმას მოუნდა კარგა ხანს და მთელი ამ გარჯისთვის, რომელიც „სან სირომ“ მოუწონა, მარკუს მერკისგან ყვითელი ბარათი მიიღო.

ალბათ ლოგიკურია, რომ მატჩში პირველი გოლი თავური დარტყმით გავიდა. შესვენებამდე ჯერ ინმაგიმ და შემდეგ კი ამბროზინიმ დაჰკრეს თავით ბურთს ხელსაყრელი პოზიციიდან, მაგრამ უხეიროდ. „პიპომ“ მეორე ცდიდან შეძლო ნავსის გატეხვა, მანამდე კი ანდრეი შევჩენკოს გოლი თამაშარის გამო გაუქმეს.

უკრაინელმა ნამატრევეს თქვა: „ძალიან მიხარია, რომ ბევრი გავიტანეთ, მეოთხედფინალში ვართ და ვგრძნობ, გუნდი ბრწყინვალე ფორმაშია. ჩვენ ისევ შეგვიძლია გავიმეოროთ შარშანდელი წარმატება. საამისოდ ყველა პირობა არსებობს და „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის კვლავ მოსაგებად იბრძოლებს“.

კარლო ანჩელოტი: „ყველა, ვინც მეოთხედფინალში გავიდა, ეს დაიმსახურა. სხვებთან შედარებით ალბათ „არსენალი“ ოდნავ ძლიერია, მაგრამ ნებისმიერ მეტოქესთან, ვინც არ უნდა შეგვხვდეს, დიდი სიფრთხილე გვმართებს“.

მამა ხუციშვილი

REUTERS მილანიდან

REUTERS მოსკოვიდან

არსენალი (ლონდონი, ინგლისი) 2:0 სელტა (ვიგო, ესპანეთი) (3:2)
1:0, 2:0 ანრი (14, 34)

არსენალი: ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, ლიუნგბერგი, ვიერა, ედუ (ფილბერტო სილვა 70), პირესი (რეიესი 70), ანრი, ბერესკამპი (კანუ 77)
მწვრთნელი: არსენ ვენგერი

სელტა: კავალიერო, ველასკო, სერხიო, კასერესი, სილვინიო (პ. კონტრერასი 21), ხოსე იგნასიო, ლუქსენი (ხესუსი 29), ოუბინია, გუსტავო ლოპესი (ვაგნერი 71), მოსტოვი, პინილია

მწვრთნელი: რადომირ ანტიჩი
გაფრთხილება: კონტრერასი (36, 74)
გაძევება: კონტრერასი (74)
მსაჯი: პიერლუიჯი კოლინა (იტალია)
35 402 მაყურებელი

ანრიმ ორგულიანიდან ისროლა არსენალმა სელტა სათოფოზე არ მიუშვა

ვიგოს „სელტას“ სამეოთხედფინალო იმედები ოთხშაბათ საღამოს „არსენალმა“ „ჰაიბერიზე“ დაასამარა.

მიუხედავად იმისა, რომ რადომირ ანტიჩის შევირდებმა ორი კვირის წინ მეტოქეს დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს (2:3 „მეთოფეთა“ სასარგებლოდ), „ჰაიბერიზე“ შეკრებილ მრავალრიცხოვან გულშემატკივართა სასიხარულოდ კი, ლონდონში იქაურთა სიძლიერე სრულად გამოვლინდა — „არსენალს“ „სელტას“ მსგავსი და შედარებით უფრო ჩაუქი კლუბების დაჩოქება თავისუფლად შეუძლია.

„ჰაიბერის“ შერკინებაში თავიდან სტუმრებმა იაქტიურეს — პირველ 10 წუთში ლუქსენმა და პინილიამ ზედიზედ ორი სახიფათო ეპიზოდი შექმნეს ლემანის კართან, თუმცა ორივე შემთხვევაში სიზუსტე დააკლდა.

მერე ანრის გაბრწყინების ფაზი დადგა ფრანგმა ბერესკამპის დროული პასით იხიერა და ჩვეული ელეგანტურობით ანგარიში გახსნა. „სელტამ“ გატანილ გოლს უმალ შეტევებით უპასუხა. ლუქსენმა იქნს ლემანს ძლიერად დაურტყა, მაგრამ გერმანელმა მეკარემ გაღი-სიური საფრთხე საიმედოდ უკუაგლო. მერე ანტიჩის მოწაფეებს საფეხბურთო ფორტუნამაც უმზახა — სილვინიომ და ლუქსენმა ტრავმები მიიღეს, რამაც სერბი მაესტრო იძუ-ლებული გახდა, მოედანზე კონტრერასი და ხესუსი შეეშვა. ესპანელთა ლიდერობა გუს-ტავო ლოპესმა და რუსმა მოსტოვიმ იკი-სრეს, თუმცა მათი აქტიურობა ლემანის ოს-ტატობას აწყდებოდა.

პირველი ტაიმის მიწურულს ძალიან განსხვავება უკვე ძალიან შესამჩნევი შეიქნა — არსენალელთა იერიშებმა „სელტას“ დაცვას ბოლო

მოუღო. ამას ტიერი ანრის მეორე გოლიც მოჰყვა — მან კავალიეროს საჯარიმოში არეულობით ისარგებლა და ანგარიში ორამდე გაზარდა. შესვენებამდე ლონდონელები ბატონობდნენ — ანრი, ბერესკამპი, ვიერა მონაცვლეობით დათარეშობდნენ სტუმართა კარის ახლოს, მაგრამ ბურთის შეგდება ვერ მოახერხეს.

ტაიმთაშორისის შემდეგ სურათი არ შეცვლილა — „არსენალის“ შეტევებს „სელტა“ სუსტი კონტრირეიშებით პასუხობდა. განსაკუთრებით ბევრჯერ ირჯებოდა ლენის ბერესკამპი, რომლის აქტიურობასაც კინაღამ სავალალო შედეგი მოჰყვა — ერთ-ერთ ეპიზოდში, მეკარე კავალიეროსთან მორიგი შეხვედრისას, ჰოლანდიელმა მოწინააღმდეგესან გულმკერდში მძლავრი წიხლი მიიღო, უცნაურია, მაგრამ მსოფლიოს უპირველეს არბიტრს, პიერლუიჯი კოლინას ეს უხეშობა საერთოდ არ შეუნიშნავს — „მეთოფეთა“ საბედნიეროდ, მათი მოიერიშე მძიმე ტრავმას გადაურჩა. აქ ერთი ფაქტი გავისხენით — 24 თებერვალს ვიგოში კავალიეროს ბერესკამპის მძაკცმა ედუ მუხლი ჩაჰკრა სახეში და ცხვირი გაუტეხა. პირენელმა სატკივარი ზუსტად ლონდონურ მატჩის წინ მოიჩინა და თუმც შემთხვევით, მაგრამ მაინც ესპანური ვენდეტატი კინაღამ აზარალა „არსენალის“ ქე-ბული ვარსკლავი. ამასობაში ფრედერიკ ლონგბერგმაც სცადა გატანა. კოულმა და პირესმაც გამოსცადეს კავალიერო. ესპანურმა „მარკამ“ გალისიურ კლუბს სევდიანი სიტყვები უძღვნა: „ბალაიდოსზე“ ჩემპიონთა ლიგის პი-მნის დაგუგუნების ნაცვლად იქაურებს ერჩი-ენათ, პირდაპირ სამგლოვიარო დაეკრათო.

ლადო ხომერიკი



დიუბარი ბირმინგემის აღარ არის ფრანგი საფრანგეთს შვილის ფრანგობისთვის დაუბრუნდა

ფეხბურთელს ჩვენ ვხედავთ მოედანზე და ხანდახან გვაფიქვამდა, რომ ის ოჯახის მამა და ცოლ-შვილის პატრონია.

კრისტოფ დიუგარი 2003 წელს „ბორდოდან“ ერთწლიანი იჯარით „ბორმინგემში“ გადავიდა. იგი გუნდს პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაში დაეხმარა და გარჯა ორწლიანი კონტრაქტით დაუფასეს.

„ბორმინგემმა“ გასულ ზამთარს შესანიშნავად ითამაშა და მეხუთე ადგილს უწია, საიდანაც ჩემპიონთა ლიგის

საკვალიფიკაციო ეტაპზე მოხვედრა სავსებით შესაძლებელია.

აი, ამ დროს, როცა კლუბის საქმეები აეწყო, კრისტოფ დიუგარმა კონტრაქტი გაწყვიტა. იგი შემოდგომიდან ტრავმირებულია და ბლომად მატჩებიც გაუცდა, მაგრამ გუნდიდან წასვლის მიზეზი სულ სხვაა, ამ შემთხვევაში ოჯახი: „საფრანგეთში ჩემი შვილისა და ოჯახის გამო ვბრუნდები. ბიჭს ინგლისური ენის შესწავლა ძალიან გაუჭირდა, ბირმინგემში კი ფრანგული

სკოლა არ არის. მსურს, რომ იგი განათლებულ ადამიანი გამოვიდეს და საამისოდ შესაბამისი სწავლა სჭირდება. ეს მხოლოდ საფრანგეთშია შესაძლებელი. გარდა ამისა, სამშობლოში დაბრუნებაზე ჩემი ცოლიც გამუდმებით მიკრიკტებდა, რომელიც ინგლისური ცხოვრების წესს ვერ შეეგუა. პირადად მე „ბორმინგემში“ თამაში და აქაური ატმოსფერო ძალიან მომწონს, მაგრამ იძულებული ვარ, ოჯახის გამო აქაურობა მივატოვო“.

გამა ხუციშვილი

მაჯის რეპოლუცია ღიონში

„ლიონის“ და „სოსიედადის“ მატჩის დასაწყისი მასპინძლებს ცუდს არაფერს უქადა, მაგრამ მასპინძელთა მეკარე გრეგორი კუპე სტუმარ ფორვარდ იგორ გაბილონლოს საბედისწეროდ შეეჯახა.

ლიონელთა კარის დარაჯმა თავიდან ვერ იგრძნო, თუმც შეჯახებიდან რამდენიმე წუთში მაჯა ასტკივდა და შეცვლა ითხოვა. აღმოჩნდა, რომ კუპეს მაჯის ძვალი მოსტეხოდა.

მოკლედ, საფრანგეთის ჩემპიონ გუნდს მოულოდნელად მთავარმეკარე დააკლდა, რომლის ადგილიც რემი ვერკიუტრმა დაიკავა და „სოსიედადისგან“ გოლი არც გაუშვია.

ეპიზოთა თქმით, კუპე სავარაუდოდ, სეზონის ბოლომდე იმკურნალებს და რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს, შესაძლოა, ევროპის ჩემპიონატიც გამოტოვოს.

„ლიონის“ პრეზიდენტმა ჟან მარკ ოლამ განაცხადა: „ეს ჩვენთვის ძალიან ცუდი ამბავია. გრეგორი ბრწყინვალე ფორმაში იყო და მისი დაკარგვით აშკარად ვიზარალებთ, რადგან ერთდროუ-

ლად ორ ფრონტზე, ჩემპიონთა ლიგაში და ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვებისთვის ვიბრძვით. ვიმედოვნებ, ვერკიუტრი კოლეგას ღირსეულად შეცვლის.“

გამა ხუციშვილი



გრეგორი კუპე მარჯვენას „ლიონს“ კარგა ხანს ვერ მოახმარს



REUTERS ლონდონიდან


ტიერი ანრიმ კავალიეროს ორჯერ გადააბიჯა

საქმე ქალის ხასიათით იხვლება

მაღამ, თქვენ გააუხადებთ ლესტერელი ბიჭები?!



ანი კახიშვილი



ვილიუ ლეპიტინი

ჩავეყვინთოთ საფეხბურთო გაუპატიურების საქმეში უფრო ღრმად და ვნახოთ, რა ხალხს გადაეყარა ესპანურ შეკრებაზე ლესტერელ ფეხბურთელთა ტრიო — დღეს მათი პორტრეტის ახალი ჩრდილებით ჩამუქება შეგვიძლია

შეგახსენებთ: ფრენკ სინკლერი, პოლ დიკოვი და კეიტ ვილესი მურსის ციხეში იმიტომ სხედან, რომ ბრალად აფრიკული წარმოშობის სამ ქალზე ძალადობა ედებათ. ამ ქალთაგან ერთი, რომლის შესახებაც გუშინაც ვწერდით და დღესაც დავწერთ, 36 წლისაა. იგი ტრეფიკინგის მაფიის წევრი ჩანს, ხოლო მისი ორი თანამდევი, 24 წლის ანი კახიშვილი და 23 წლის ჰაზელ მგემუშულე არიან, თუმცა სანამ ქალების ამბავს მოვყვებოდეთ, ნორვეგიაში გადავიდეთ და იქაური „ბოლო გლინტის“ თავდამსხმელს, ფინელ ვილიუ ლეპიტინს მოვუსმინოთ:

საგებია, მაგრამ შემდეგ განცხადებული გაუგებარი:

„არა, ისინი მეძავეები არ იყვნენ. მე მათ ვიცნობდი. რაც შეეხება შემდეგ მათ ოთახში მომხდარს, ამაზე ვერაფერს მოვახსენებთ და საერთოდაც, ძალიან გამიკვირდა ხანშიშესულთა და გოგონების მოყვარულთა საყვარელ კურორტზე დასასვენებლად ჩასული ახალგაზრდა ქალები რომ ვნახე.“

გამოდის, რომ ამ აფრიკელ გოგონათა მთელი ჯგუფი, რომლებიც როგორც გუშინაც ვნახეთ და დღესაც ვნახავთ, მეძავეებსავე შედგება, ესპანეთში სამეძავეოდ არ იყვნენ ჩასული და ფინელ ლეპიტინსაც ერთი მათგანი „ცივად“ გულწრფელი გრძობით მოემსახურა... ხომ ვთქვით, „ბოლო გლინტის“ თავდამსხმელის ეს ნათქვამი ცოტა გაუგებარია, მაგრამ არა უშავს, მომავალი წინაა.

ახლა კი ნორვეგიას შევეშვათ და პირდაპირ აფრიკაში, მალაიში გადავიფრინდეთ, სადაც ამ შვიდი წლის წინ 17 წლის ანი კახიშვილს მშობლები დაეღუპნენ და გოგოც ბედის ანაბარა დარჩა. სწორედ მაშინ გაიცნო წარმოსადგევი ქალი, რომელსაც ჩვენ წინა წერილში „მადამ 36“ ვუწოდებთ და ვინაიდან გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე მის ვინაობას ისევ მალავენ, ახლაც ასევე ვუწოდებთ. ქალმა ანის დახმარება, ამსტერდამში კარგ სამუშაოზე მოწყობა აღუთქვა, ამ აღთქმაში ეჭვის შეტანა კი 17 წლის გოგომ ვერ გაბედა, რადგან „მადამ 36“ ძალიან რესპექტაბელური იყო და როგორც თავად ამბობდა, ლილიონგვეში ბუტიკებს ანუ ტანსაცმლის კარგ მაღაზიებს ფლობდა.

ასე გაემგზავრნენ „მადამ 36“ და ხუთი მაღაველი ჩერჩეტი გოგო პოლანდიაში, სადაც ჩავიდნენ თუ არა, „მადამ 36“-მა გამოუცხადა, აქ მეძავეებად ჩამოგვიყვანეთო. გოგოებს ხუმრობა ეგონათ, მაგრამ აი, გაიღო კარი და შევიდა შვიდი მამაკაცი, ხუთი ნიგერიელი და ორი თეთრკანიანი (მიაქციეთ ყურადღება, მაღაველმა გოგოებმა ზანგების ეროვნება ამოიცნეს. თეთრი კი მათთვის, ეტყობა, ყველა ერთნაირია), რომლებმაც „მადამ 36“-თან „საქონლის შექმნაზე“ ვაჭრობა დაიწყეს. ანი და ზემოსხენებული ჰაზელი ერთმა ნიგერიელმა იყიდა, როგორც თავად უთქვამს, ცალი 40 ათას დოლარად და თანხის ამოღებამდე უსასყიდლო მეძავეობა უბრძანა, შემდეგ კი ბორდელში სათავისოდ მოწყობას დაჰპირდა.

„მეგონა პირველ კაცთან გამიჭირდებოდა, მე რე კი, მივეჩვიე, მაგრამ ვერაფრით მივეჩვიე. თან გაფრთხილებული ვიყავი, რომ გაქცევისთვის მომკლავდნენ“ — თქვა ანიმ, რომელმაც ერთი ხნის შემდეგ, როგორც კი კლუბს, სადაც ის მეძავეობდა, პოლიციის რეიდი დაატყდა, სამართალდამცავებს თავისი უბედურების შესახებ წვრილად უამბო ყველაფერი.

ასე და ამგვარად, ანი კახიშვილი და ჰაზელ მგემუშულე ევროპიდან გააძევეს და მშობლიური მალაიის ხელისუფლებას გადააბარეს, სადაც „მადამ 36“-ის სასამართლო პროცესი შედგა, მაგრამ... მალაიის სასამართლოში „მადამ 36“-მა ყველაფერი მარტივად მოაგვარა და ციხეს გადარჩა. და აი, „მადამ 36“ ისევ ევროპაში, კერძოდ ესპანეთში, ლესტერელი ფეხბურთელების საწოლშია, საიდანაც პოლიციაში ჩივის, გამაუპატიურესო. მასთან ერთად ყოფილა კენიელი ქალიც, რომელიც, თურმე ნუ იტყვიან და გერმანიაში, კერძოდ კიოლნში ადრე ასეთ ფანდზე იყო გამოჭერილი: მავანს გაიცნობდა, ჯერ ეცეკვებოდა, შემდეგ ჩხუბს აუტეხავდა და არაქა გამამარცხა და მცემალი აკვილდებოდა. ახლა წარმოიდგინეთ, როდესაც ის მავანი, ვთქვით, კენიელი ან ქართული არაღიგავლია...

აბაუნა კილია



ლესტერელ ფეხბურთელებს მეძავეებისგან ანა რუიბერესი იცავს

„ეს ქალები კაცებს დაეძებდნენ. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ყველაფერი ლოგინით უნდა დამთავრებულიყო. მგონი მე გამიმართლა. ერთ მათგანს ნომერში ავეყვი და საკმაოდ ცივი მომსახურების შემდეგ მშვიდობით დავმორდი“ — უთხრა ლეპიტინმა ნორვეგიელ პოლიციელებს, რომლებთანაც თავად მივიდა, რადგან ლესტერელი კოლეგების ამბავი შეიტყო და გახეთქილი ის ფოტო ნახა, ფრენკ სინკლერს მავანი ქალის ფეხი რომ აქვს წელზე შემორტყმული. 25 წლის ფინელმა სინკლერს შემორტყმული ქალში სწორედ ის ცივად მომსახურე ამოიცნო, რომელსაც თავად მშვიდობით დამორდა და მიხვდა, რომ ინგლისელ ფეხბურთელებს მისი ჩვენება შეიძლება ძალიან წაადგეთ — „ბოლო გლინტი“ „ლესტერისა“ არ იყოს, შეკრებას ესპანეთში გადიოდა და სწორედ იმ სასტუმროში ბუდობდა, რომელშიც პრემიერლიგის გუნდი.

როგორც ირკვევა, ქალებს უმთავრესად ადრე „შეფილდ იუნაიტედში“ ნათამაშები ლეპიტინი იცნობდა და სწორედ მან უთხრა, აგერ ბიჭები რომ მოდიან, ძალიან ცნობილი ფეხბურთელები არიანო. ამაზე მათ ყურები უცქევით და ფინელისთვის ბიჭების გაცნობა უთხოვიათ, მაგრამ ლეპიტინის მიუგია, რომ ფეხბურთელებმა ახლა უნდა ისადილონ და საერთოდაც, ბევრი მათგანი შესაძლოა, დაოჯახებულიც იყოსო.

„მათ წამოიძახეს: რა ჯანდაბაა? რას ნიშნავს ქორწინება? რას უშლის ხელს მათი ქორწინება? ქორწინება საერთოდ არ ნიშნავს არაფერს!“ — თქვა თავდამსხმელმა, რომლის აქამდე ნალაპარაკები გა-



ტაში

ლივის

დალ ჰიაროს ბიულბანი გამონათქვამი

ტრამპიტი გატანჯულ „იუვენტუსს“ ახალი სატკივარი დაემატა. „დეპორტივოსთან“ მატჩის დასაწყისში ალესანდრო დელ პიეროს მარჯვენა ფეხზე კუნთი ისე დაეჭიმა, რომ თამაში ვეღარ შეძლო. ფეხბურთელმა ექიმების ხელში გადაინაცვლა. დასტატებმა დაადგინეს — დელ პიერო სამიოთხი კვირის განმავლობაში ბურთს ვერ გაეკარება.

„იუვენტუსის“ მოთამაშე ზუსტად ასეთივე ტრავმა მარშან სექტემბერში მარცხენა ფეხზე მიიღო და მოედანს 50 დღით ჩამოსცილდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სეზონი მისთვის უიღბლო გამოდგა.

იგივეს ვიტყვი „იუვენტუსზე“. მარჩელი ლიბის ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელთა უმეტესობა მკურნალობს. „ბებერი ქალბატონის“ განკარგულებაში „დეპორტივოდ“ 14 მოთამაშე იყო. ახლა მწვრთნელს 13 შემორჩა, რომლებსაც ხვალ „მილანთან“ ბრძოლა მოუწევთ.

გუნდის წარუმატებლობამ ხმები ააგორა, მარჩელი ლიბის გაუშვებნო, მაგრამ კლუბის გენერალურმა დირექტორმა ლუჩანო მოჯიო თქვა: „ფეხბურთში წაგება არ უნდა გავიკვირდეს. ლიბი მხოლოდ ტაშს იმსახურებს. იგი „იუვენტუსთან“ კონტრაქტითაა შეკრული და ტურინში დარჩება. არ მესმის, რატომ საუბრობენ მწვრთნელის შეცვლაზე. ჩვენი პრობლემა ტრავმებია. მანამდე ხომ დაუმარცხებლად გვთვლიდნენ. ვაცხადებ, რომ მარჩელი ლიბი არასდროს მიდის და დავიდ ტრეზეგეტს კვლავ ტურინში ითამაშებს.“

გაბა ხუციშვილი

ინგლისურ გაზეთ „დეილი რეკორდის“ ცნობით, „ლივერპული“ სეზონის ბოლოს ზორბა თავდამსხმელ ემილ ჰესკის დაემშვიდობება. იმავე გაზეთის მტკიცებით, ჰესკის ახალი კლუბი „მიდლსბრო“ იქნება. „ბორო“ მერსისაიდლებს თავდამსხმელის სანაცვლოდ 4,5 მილიონ გირვანქას სთავაზობს.

იტალიური „რომას“ წარმომადგენლების თქმით, კლუბის ხუთ წამყვან ფეხბურთელს მცირე ტრავმები აწუხებთ და ახლა ექიმები მათ გამოკვლევებს უტარებენ. დამავებულია. სიაში ფრანჩესკო ტოტი, მარკო დელვეკიო, კრისტიან კიუუ, ოლივიე დაკური და დანიელე დე როსი არიან. მათ გუშინდელი საუფესთასო შეხვედრა ესპანურ „ვილიარეალთან“ სწორედ ამის გამო გამოტოვეს, თუმცა „რომას“ ექიმთა მტკიცებით, ზემოსხენებული ფეხბურთელები, სერია A-ს მორიგი ტურის მატჩისთვის ფაბიო კაპელოს განკარგულებაში იქნებიან.

რუმინეთის ეროვნული გუნდის მცველი ფლორინ სოავა მოსკოვის „სპარტაკში“ გადავიდა. რუსებმა სოავა ბუქარესტის „რაპიდს“ წაჰკვარეს და ფეხბურთელს სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმეს. „სპარტაკმა“ ახალწვეული განაცხადში უკვე შეიყვანა. ფლორინ სოავა 25 წლისაა და რუმინეთის ნაკრების მისურა 14-ჯერ მოურავია. „რაპიდის“ პრეზიდენტ ჯოვანი ბეჩალის თქმით, ტრანსფერი მოულოდნელად განხორციელდა, თუმცა ფინანსურ დეტალებს არ ახმაურებენ.

შოტლანდიური „გლაზგო რინჯერსი“ წლეულს უმთავრეს კონკურენტ გლაზგოს „სელტიკს“ ყველაფერში ჩამორჩა და ამით გაცეცხლებულმა მწვრთნელმა ალექს მაკლიშმა ტრანსფერზე უკვე სამი ფეხბურთელი დააყენა — ნუნუ კაპუშუ, ემერსონი და კრისტიან ნერლინგერი გუნდს სეზონის დამთავრებისთანავე დატოვებენ. მწვრთნელმა ასეთი კომენტარი გააკეთა: სამივესთან ხანგრძლივი და რაც მთავარია, საქმიანი ლაპარაკი მქონდა, მათ პირდაპირ ვუთხარი, თქვენ ჩემს სათამაშო სქემაში ვერ ჯდებით-მეთქი. კაპუშუ და ემერსონი სეზონის დაწყების წინ გადმოვიბირეთ, მათი ძალიან მეიმედებოდა, მაგრამ... რაც შეეხება ნერლინგერს, ვთვლი, რომ კრისტიანმა „რინჯერსში“ უკვე ამოწურა შესაძლებლობები.



დიდი რუსეთი უსსრ თავაზით

თამბაქოს ვაჭარი მოსკოვში გაერთობა


დღეს რუსეთის არაჩვეულებრივი პრემიერლიგა იწყება. არაჩვეულებრივი იმიტომ, რომ რუსულმა კლუბებმა სახელგანთქანი უცხოელი მწვრთნელები გადაიბირეს.

ცსკა-ს არტურ ჟორჟე წვრთნის, „სპარტაკს“ თვით ნევიო სკალა, ვლადიკავკაზის „ალანის“ კი ცნობილი ფრანგი ალან კურბისი.

პრემიერლიგა ქართველი ფეხბურთელებით კვლავ გამდიდრდა. „როსტოვის“ შეტევას რატი ალექსიძე შეეშველება, ხოლო „ალანის“ შუახაზს ვიტალი დარასელია გააძლიერებს; თუმც კურბისმა სათასო მატჩში „შინიკთან“ ჩვენებური არათამაშა. მოსკოვის „დინამოს“ დაცვას ოთარ ხიზანეიშვილი გაამაგრებს, „სპარტაკის“ კარს კი ვიორგი ლომია დაიცავს.

წლეუანდელი პრემიერლიგა ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესო იქნება და თუ უცხოელი მწვრთნელებიც რუსულ ფეხბურთს ხარისხის კვალს დაამჩნევენ, ჩემპიონატი ურიგო არ უნდა გამოდგეს.

ორი წელია მოსკოვის „სპარტაკის“ ბატონობა დაემხო. ჯერ „ლოკომოტივმა“, მარშან კი ცსკა-მ ჩემპიონობა მოიგეს. გასულ სეზონში მეორე ადგილი მოულოდნელად სანკტ-პეტერბურგის „ზენი-



არტურ ჟორჟე



როლან კურბისი

ტმა“ დაიკავა, ბრინჯაო კი ყაზანის „რუბინს“ ერგო.

წლეულს ჩემპიონობას რეალური კანდიდატები ცსკა და „ლოკომოტივი“ არიან.

არმიელთა პორტუგალიელი თავკაცი 1987 წელს „პორტუს“ მწვრთნელი იყო. და ჩემპიონთა თასი

მოიგო. არტურ ჟორჟე იმითაც ცნობილია, რომ პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელობისას ერთ-ერთ გადამწყვეტი მატჩის წინ სა პინტუ არ გამოიძახა. გაშვებული ფორვარდი ბაზაზე დაუპატიჟებლად მივიდა და ჟორჟეს წაუთავა. ცსკა-ს პორტუგალიელი თავკაცი ყოველ-

წლეურად მილიონ ევრომდე ჯამაგირს მიიღებს.

გაცილებით ძვირფასია ნევიო სკალა „სპარტაკისთვის“. იტალიელის ხელფასი წელიწადში სამ მილიონ ევროს მიუკავუნებს. სკალას, მწვრთნელობის გარდა, საკუთარი ბიზნესიც აქვს. — თამბაქოს პლა-

ნტაციების მფლობელია და იქიდანაც გვარიან შემოსავალს იღობავს.

„ლოკომოტივის“ თავკაცი იურე სიომინი კლუბში მწვრთნელი არის და „საერთო“ ვაჭარების მართვებელიც. მისი უნდობანზე უცხოელი კი ვერ გაიჭაჭანებს. მარშან მან რუსეთის ნაკრებზე თქვა უარი და მიანიშნა, რომ „ლოკომოტივთან“ ერთად ევროპაში წარმატების მიღწევა სურს. „ლოკომ“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში ვერ გააღწია. მარშან ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დაიკავა და ალბათ წლეულს სიომინის გუნდი ოქროს თვის იბრძობებს.

სანკტ-პეტერბურგელები ვლასტიმელ პეტრეულას ცოდნით ისე მოიხიბლნენ, რომ „ზენიტის“ ჩეხი თავკაცი დატოვეს და მეტ ფულსაც დაჰპირდნენ, თუ გუნდი ჩემპიონობას შეძლებს.

ბოლოს ერთი განმარტება: მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგი“, რომლის ერთ-ერთი მესპატრონე დედაქალაქის მერი იური ლუკოვია, სახელის შეცვლას და „მოსკვას“ დარქმევას აპირებდა, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებით გუნდს ძველი სახელი დაუტოვეს.

მათა ხუციშვილი

რუსეთი. პრემიერლიგა. 2004

1-ლი ტური. 12 მარტი
ცსკა — ტ. მებალურგი
13 მარტი
ზენიტი — როსტორი
კრილია — სატურნი
ალანია — რუბინი
ყუბანი — ამკარი
როსტორი — ტორკაელო
სპარტაკი — დინამო
15 მარტი
ლოკომოტივი — შინიკი
მე-2 ტური. 20 მარტი
სატურნი — სპარტაკი
ალანია — ტორკაელო
დინამო — ცსკა
21 მარტი
როსტორი — შინიკი
ყუბანი — რუბინი
ტ. მებალურგი — ზენიტი
როსტორი — კრილია
ლოკომოტივი — ამკარი
მე-3 ტური. 27 მარტი
კრილია — ცსკა
დინამო — როსტორი
ზენიტი — სატურნი
რუბინი — როსტორი
28 მარტი
სპარტაკი — ტ. მებალურგი
ამკარი — ალანია
ტორკაელო — ლოკომოტივი
შინიკი — ყუბანი
მე-4 ტური. 3 აპრილი
რუბინი — ლოკომოტივი
ამკარი — როსტორი
შინიკი — ალანია
ცსკა — ზენიტი
სატურნი — დინამო
როსტორი — სპარტაკი
ტორკაელო — ყუბანი
ტ. მებალურგი — კრილია
მე-5 ტური. 7 აპრილი
როსტორი — ცსკა
ყუბანი — როსტორი
ალანია — სატურნი
ლოკომოტივი — ტ. მებალურგი
ზენიტი — რუბინი
კრილია — ამკარი
დინამო — ტორკაელო
სპარტაკი — შინიკი
მე-6 ტური. 10 აპრილი
სატურნი — ლოკომოტივი
რუბინი — კრილია
ცსკა — ყუბანი
ტ. მებალურგი — როსტორი
11 აპრილი
ამკარი — ზენიტი
ტორკაელო — სპარტაკი
შინიკი — დინამო
როსტორი — ალანია

მე-7 ტური. 17 აპრილი
როსტორი — როსტორი
დინამო — რუბინი
ყუბანი — სატურნი
ლოკომოტივი — ცსკა
18 აპრილი
სპარტაკი — ამკარი
კრილია — ტორკაელო
ზენიტი — შინიკი
ალანია — ტ. მებალურგი
მე-8 ტური. 24 აპრილი
რუბინი — სპარტაკი
ტ. მებალურგი — ყუბანი
ცსკა — ალანია
როსტორი — ლოკომოტივი
25 აპრილი
ამკარი — დინამო
ტორკაელო — ზენიტი
შინიკი — კრილია
სატურნი — როსტორი
მე-9 ტური. 1 მაისი
ამკარი — შინიკი
როსტორი — ცსკა
ყუბანი — ალანია
როსტორი — ლოკომოტივი
სპარტაკი — ზენიტი
2 მაისი
დინამო — კრილია
სატურნი — ტ. მებალურგი
ტორკაელო — რუბინი
მე-10 ტური. 8 მაისი
ლოკომოტივი — ყუბანი
შინიკი — რუბინი
ალანია — როსტორი
ტ. მებალურგი — როსტორი
ზენიტი — დინამო
ამკარი — ტორკაელო
9 მაისი
ცსკა — სატურნი
კრილია — სპარტაკი
მე-11 ტური. 14 მაისი
ტორკაელო — შინიკი
15 მაისი
ყუბანი — როსტორი
ალანია — ლოკომოტივი
რუბინი — ამკარი
სატურნი — როსტორი
სპარტაკი — ცსკა
16 მაისი
ზენიტი — კრილია
დინამო — ტ. მებალურგი
მე-12 ტური. 19 მაისი
ცსკა — შინიკი
როსტორი — სპარტაკი
ყუბანი — კრილია
ალანია — დინამო
ტ. მებალურგი — ტორკაელო
როსტორი — ამკარი
ლოკომოტივი — ზენიტი
სატურნი — რუბინი

მე-13 ტური. 22 მაისი
ზენიტი — ყუბანი
ამკარი — ცსკა
კრილია — ლოკომოტივი
23 მაისი
დინამო — როსტორი
რუბინი — ტ. მებალურგი
შინიკი — სატურნი
ტორკაელო — როსტორი
სპარტაკი — ალანია
მე-14 ტური. 3 ივნისი
როსტორი — რუბინი
ალანია — კრილია
ყუბანი — დინამო
ლოკომოტივი — სპარტაკი
როსტორი — ზენიტი
სატურნი — ამკარი
ტ. მებალურგი — შინიკი
4 ივნისი
ცსკა — ტორკაელო
მე-15 ტური. 7 ივნისი
კრილია — როსტორი
რუბინი — ცსკა
შინიკი — როსტორი
ტორკაელო — სატურნი
ამკარი — ტ. მებალურგი
ზენიტი — ალანია
სპარტაკი — ყუბანი
დინამო — ლოკომოტივი
მე-16 ტური. 10 ივნისი
ყუბანი — ზენიტი
ლოკომოტივი — კრილია
როსტორი — დინამო
11 ივნისი
როსტორი — ტორკაელო
სატურნი — შინიკი
ტ. მებალურგი — რუბინი
ალანია — სპარტაკი
ცსკა — ამკარი
მე-17 ტური. 17 ივნისი
ზენიტი — ლოკომოტივი
დინამო — ალანია
კრილია — ყუბანი
შინიკი — ტ. მებალურგი
ტორკაელო — ცსკა
18 ივნისი
ამკარი — სატურნი
რუბინი — როსტორი
სპარტაკი — როსტორი
მე-18 ტური. 24 ივნისი
ცსკა — რუბინი
ყუბანი — სპარტაკი
როსტორი — კრილია
ლოკომოტივი — დინამო
25 ივნისი
როსტორი — შინიკი
სატურნი — ტორკაელო
ტ. მებალურგი — ამკარი
ალანია — ზენიტი

მე-19 ტური. 14 აგვისტო
სპარტაკი — ლოკომოტივი
კრილია — ალანია
შინიკი — ცსკა
15 აგვისტო
ტორკაელო — ტ. მებალურგი
ზენიტი — როსტორი
ამკარი — როსტორი
რუბინი — სატურნი
დინამო — ყუბანი
მე-20 ტური. 21 აგვისტო
შინიკი — ამკარი
კრილია — დინამო
ზენიტი — სპარტაკი
ტ. მებალურგი — სატურნი
ცსკა — როსტორი
22 აგვისტო
ლოკომოტივი — როსტორი
ალანია — ყუბანი
რუბინი — ტორკაელო
21-ე ტური. 28 აგვისტო
სატურნი — ცსკა
სპარტაკი — კრილია
29 აგვისტო
ამკარი — რუბინი
ყუბანი — ლოკომოტივი
როსტორი — ალანია
შინიკი — ტორკაელო
როსტორი — ტ. მებალურგი
დინამო — ზენიტი
22-ე ტური. 11 სექტემბერი
ცსკა — სპარტაკი
როსტორი — სატურნი
ტორკაელო — ამკარი
კრილია — ზენიტი
12 სექტემბერი
ტ. მებალურგი — დინამო
რუბინი — შინიკი
ლოკომოტივი — ალანია
როსტორი — ყუბანი
23-ე ტური. 18 სექტემბერი
ალანია — ცსკა
კრილია — შინიკი
დინამო — ამკარი
19 სექტემბერი
ყუბანი — ტ. მებალურგი
როსტორი — სატურნი
ლოკომოტივი — როსტორი
20 სექტემბერი
ზენიტი — ტორკაელო
სპარტაკი — რუბინი
24-ე ტური. 24 სექტემბერი
ტორკაელო — კრილია
25 სექტემბერი
ცსკა — ლოკომოტივი
როსტორი — როსტორი
რუბინი — დინამო
შინიკი — ზენიტი
26 სექტემბერი
სატურნი — ყუბანი

ტ. მებალურგი — ალანია
ამკარი — სპარტაკი
25-ე ტური. 2 ოქტომბერი
როსტორი — ტ. მებალურგი
სპარტაკი — ტორკაელო
კრილია — რუბინი
ალანია — როსტორი
3 ოქტომბერი
ზენიტი — ამკარი
ყუბანი — ცსკა
დინამო — შინიკი
ლოკომოტივი — სატურნი
26-ე ტური. 16 ოქტომბერი
ცსკა — როსტორი
ტ. მებალურგი — ლოკომოტივი
რუბინი — ზენიტი
ამკარი — კრილია
17 ოქტომბერი
როსტორი — ყუბანი
სატურნი — ალანია
ტორკაელო — დინამო
შინიკი — სპარტაკი
27-ე ტური. 23 ოქტომბერი
სპარტაკი — როსტორი
ყუბანი — ტორკაელო
კრილია — ტ. მებალურგი
24 ოქტომბერი
დინამო — სატურნი
ლოკომოტივი — რუბინი
როსტორი — ალანია
ალანია — შინიკი
25 ოქტომბერი
ზენიტი — ცსკა
28-ე ტური. 29 ოქტომბერი
ტ. მებალურგი — სპარტაკი
30 ოქტომბერი
შინიკი — როსტორი
ტორკაელო — ალანია
ამკარი — ლოკომოტივი
რუბინი — ყუბანი
როსტორი — დინამო
ცსკა — კრილია
31 ოქტომბერი
სატურნი — ზენიტი
29-ე ტური. 7 ნოემბერი
ალანია — ამკარი
ცსკა — დინამო
ლოკომოტივი — ტორკაელო
ყუბანი — შინიკი
როსტორი — რუბინი
ზენიტი — ტ. მებალურგი
კრილია — როსტორი
სპარტაკი — სატურნი
30-ე ტური. 11 ნოემბერი
დინამო — სპარტაკი
ტ. მებალურგი — ცსკა
როსტორი — ზენიტი
სატურნი — კრილია
რუბინი — ალანია
ამკარი — ყუბანი
ტორკაელო — როსტორი
შინიკი — ლოკომოტივი

შენი ნაწილი აისებრებთან

ერთი დღეა, აღწერე ჟიროსი ნაწილის მფლობელია

როგორც იქნა, საქართველოს ნაკრებს ჰყავს მთავარი მწვრთნელი. აღწერე ჟიროსი უკვე მოუთხოვია ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარი.

აქამდე, შემოდგომიდან მოყოლებული, საქართველოს ნაკრები არ არსებობდა. შემოდგომაზეც ნაკრებმა კი ნაითამაშა, მაგრამ ის მაინც არ არსებობდა, როგორც ნაკრები. შემოდგომაზევე მოისმოდა, რომ უცხოელი გვინდა, მაგრამ მერე რევოლუცია მოხდა და რევოლუციის შემდეგ დაკავებული მერაბ ჟორდანიას გათავისუფლების შემდეგლა შეუდგა მწვრთნელის ძებნას, რამაც თვენახევრის განმავლობაში დიდი და ტრაგიკომიკული თავგადასავლის იერი მიიღო.

ბოლოს, როგორც იქნა, დამტკიცდა ჟიროსი, რომლისაც ჩვენში უფრო ფეხბურთელობა გაეგონათ, რადგან მიშელ იდალგოს ზღაპრული გუნდის დიდი ნახევარდაცვის მოუღლეელი მოთამაშე იყო. მწვრთნელად ჟიროსი ცნობილია, როგორც ემე ჟაკეს საყვარელი მოწაფე, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობის ყოფილი კანდიდატი, მშობლიური „ტულუზის“ ფრანგულ ელიტაში გადმოყვანილი და მასთან ერთად უკან გავარდნილი და მერე ერთხანს პსჟ-ს თავკაცი. მოკლედ, უტიტულო, მაგრამ კვალიფიციური და საფრანგეთში სახელიანი მწვრთნელი.

ბოლო ათწლეულია, ფრანგმა მწვრთნელებმა სახელი სწორედ ფეხბურთის სამყაროს კიდევ მყოფი ნაკრებების განვრთნით დაიგდეს და ახლა ჟიროსიც ამ გზას დაადგა. ეს ნიშნავს, რომ ჟიროსი საფეხბურთო ამბიციის მთელი კომპლექტითაა მოსული და სასწორზეც გვარიან რამეს დებს. მან უნდა ჩაიბაროს ნაკრები, რომელსაც დაარსების დღიდან არ ჰქონია არანაირი სატურნირო წარმატება და რომელიც ათი წლის განმავლობაში 4-5 მატჩით თუ მოიწონებს თავს. თუმცა, ეს მატჩები საფუძველს აძლევს მის გულმემატიკვარს, რომ ნაკრებისგან ყოველთვის უმაღლესი შედეგი მოითხოვოს. იმავდროულად, საქართველოს ნაკრები არის ქვეყნის სუსტი საფეხბურთო მეურნეობისა და მახინჯი საფეხბურთო ურთიერთობების სახე, რომელსაც ყოველთვის შეეძლო მოეგროვებინა 2-3 მაგარი, 3-4 კარგი და 4-5 ისერა და დანარჩენი კი, უბრალოდ, სუსტი ფეხბურთელი და ძირითადად სუსტი ანდა ბუნდოვანი სამწვრთნელო ხელმძღვანელობის პირობებში ეთამაშა წლიდან წლამდე.

აი, ასეთი მემკვიდრეობა აქვს ჟიროსს. მისი სავარძელი ძალიან ცხელი ადგილია.

ახლა ჩვენ ერთგვარი ხალისი დაგვეფლეთა. ამის მიზეზი ის არის, რომ, როგორც იქნა, გვყავს მწვრთნელი. მის დანიშვნაში კი თვით მიშელ პლატინიც გარეულია, რომელიც გუშინწინ ხალისიანად ესაუბრებოდა მიხეილ სააკაშვილს. ეს ხალისიც გადამდებია. თუმცა, ის, რომ უკვე გვყავს მწვრთნელი და ეს მწვრთნელი ფრანგია, ხოლო მის დანიშვნას მოჰყვა ჩვენი სიხარული (რაც გასაგებია და მართლაც სასიხარულოა და სახალისოც), ნახევარი საქმეც არ არის.

მთავარი საქმე — აღწერე ჟიროსის საქმეა. როგორი იქნება ჩვენი ნაკრები? მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზურის მოპოვება ყოველთვის იყო გულმემატიკვარის ოცნება. თუმცა, ბოლო წლებში ეს ოცნება სრულიად მოისპო. ადრე ოცნება მაინც იყო, მერე კი



და სხოპრობდნენ ისინი დიდხანს და გედნიერად?

გნებავთ, წიგნები გაიხსენეთ და გნებავთ, ფილმები. ის კი არა, ბავშვობაში წაკითხული და მოსმენილი ზღაპრები იყოს. ზომ გახსოვთ, როგორ არის: ქალს და ვაჟს ერთმანეთი შეუყვარდებოდა, მაგრამ ჩნდება ვინმე ბოროტი, ვისაც ვაჟი (და ქალიც) მთელი ამბის მანძილზე თავდაუზოგავად ებრძვის, რათა ბოლოს დაამარცხოს და დიდი ქორწილიც გაიმართოს ამის შემდეგ ავტორები ამბობენ ასეთ წინადადებას — და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად. ეს იმას ნიშნავს, რომ ამბავი მორჩა, ემოციისგან დაღლილი მკითხველი, მაყურებელი თუ მსმენელი კმაყოფილია.

მაგრამ რა მორჩა?! რას ჰქვია მორჩა?! რა სისულელეა?! პირიქით, სწორედ ახლა იწყება! ჩვენი გმირები ერთად ცხოვრებას იწყებენ... გესმით, ცხოვრებას, მთელ ცხოვრებას, რომელიც იმ დიდი ქორწილის შერეა. მათ უნდა ეყოლოთ შვილები, მათ შვილები ხიფათისგან უნდა დაიცვან, სწორედ აღზარდონ, უზრუნველყვონ, თავსაც მიხედონ, ერთმანეთს მიხედონ და საამისოდ ოჯახად უნდა ჩამოყალიბდნენ, ერთსულოვან ოჯახად.

ო, მთელი ცხოვრების წარმატებით, ბედნიერად გატარება ძალიან ძნელი საქმეა. ეს ნამდვილ ბრძოლას, გამძლეობას, ვინიერებას, შემწყნარებლობას, იმედს, ცოდნას და უამრავ სხვა თვისებას თუ პროცესს მოიცავს.

„და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად“ — ასე, ერთ წინადადებაში ეტევა მთელი გზა?

თუ გინდათ გაგეცინოთ, რა შუაშია ეგ ყველაფერი, რად გაგახსენდათო. შეიძლება, მართლაც ცუდი მაგალითია, მაგრამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელის ძიებამ ისე დრამატულად ჩაიარა, რომ როდესაც საბოლოოდ მისი ვინაობა გამოცხადდა, თითქოს გაგვიხარდა და ემოციისგან დაღლილები სავარძელს მივესვენეთ.

გახსოვთ მთელი ისტორია? მგონი, ორთამაშიანი იყო შუშაკის შემდეგ დაიწყო ყველაფერი. ჩვენს მრავალტანჯულ ნაკრებს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანიას თან თვითონ ედგა სათავეში და თან ახალ ხელმძღვანელს ეძებდა. შემდეგ გამოჩნდა ანრი მიშელი, შემდეგ ჟორდანიას დაიჭირეს და ისტორიამ კიდევ უფრო სტივენკინგური ელფერი შეიძინა, რის მერეც ფედერაციის პრეზიდენტი გამოუშვეს, მიშელი კი წავიდა, ოღონდ მისი თურქი აგენტი თუთუმლუ აქტიურობას განაგრძობდა და, თუ არ ვცდებით, ერთი ჩამოსვლა ჩამოვიდა კიდევ. შემდეგ გამოჩნდა ანატოლი ბიშოვეცი და მის გარშემო „კი იქნება, არ იქნება“ ატყდა, ხოლო როდესაც საქმე კონტრაქტის ხელმოწერაზე მიდგა, გაირკვა, რომ ბიშოვეცი ჩვენი მწვრთნელი არ იქნება. ამ დროს ვილაცას გაახსენდა, როგორ ახსენა კახა კალაძემ ჩეხარე მალდინი, რომელსაც მილანელოში, ალბათ, ყოველდღე ხედავს და შინაურულად ელაპარაკება, მაგრამ ის, ვისაც ეს გაახსენდა, არ იყო ჟორდანიას, რომელიც თურმე მიშელ პლატინისთან კარგ ურთიერთობაშია, ხოლო პლატინი თურმე ფიფას თუ უეფას მომავალი პრეზიდენტი. ერთი სიტყვით, ჟორდანიამ ერთხანს ისევ დეტექტიურ დაძაბულობაში გვაყოფა, რის მერეც დაასახელა პლატინის მეგობარი აღწერე ჟიროსი და ის დღე 27 თებერვალი გახლდათ.

გუშინ, 11 მარტს კი დეტექტივ-ტრილერ-უბედურების კვანძი გაიხსნა, — ორი კვირა გვეუბნებოდნენ, ჟიროსი თანახმაა, მაგრამ საბოლოოდ თანახმა დღეს არა, ზვალ იქნებაო — და აი, აღწერე ჟიროსი საქართველოს ნაკრების მწვრთნელად გამოცხადდა.

ხოლო ჩვენ, ემოციისგან დაცლილები, სავარძელს კმაყოფილებით მივესვენეთ.

და ცხოვრობდნენ ისინი დიდხანს და ბედნიერად?

ოცნებასაც ვერ დაარქმევდი. ჩვენი შესარჩევი ჯგუფი კი ისეთია, უცხოეთში „დოგფაით გეიმს“ (ძაღლების ჩხუბი) რომ ეტყვიან ხოლმე. უნდა ითამაშო სტამბოლში, სადაც კედლებს აწერია „მობრძანდით ჯოჯოხეთში“, უნდა ითამაშო „პარკენზე“, სადაც არასდროს აგებს დანიის ნაკრები და ასე შემდეგ. რა თქმა უნდა, შინაც უნდა ითამაშო. ჟიროსი ჟიროსად და, გუნდმა კი თავზე ხელი უნდა აიღოს და ისე იბრძოლოს. თორემ ეს ხალისი სწორედ იქამდე გაგვეყვება, სანამ ცხვირს არ ნავიმტვრევთ და მერე კი ჩვენთან ძველი სიმღერების დრო დგება ხოლმე.

მოკლედ, კარგია, რომ მწვრთნელი გვყავს. თუმცა ამით ჩვენი პრობლემები არ მოგვარებულა. ვერც მოგვარდებოდა, ჯერ ხომ გუნდი არ გვყავს. აღწერე ჟიროსმა ალბათ იცის, რომ თვით „ტიტანიკი“ აისბერგს გაეხახუნა და ჩაიძირა, თუმცა ძნელია იცოდეს, როგორ აისბერგს

მიადგა — საქართველოს ნაკრებს, რომელიც აქამდე დამარცხებულ მედიდურთა გუნდი უფრო იყო, ვიდრე გამარჯვებულ თავმდაბალთა ერთობა. თუმცა, ესეც არის, რომ ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია და მასში სულ იოლად ნყდება პრობლემები, როცა ფეხბურთი ნამდვილია.

ჩვენს ფრანგს შეიძლება იმდენი სამუშაო ჰქონდეს, რამდენიც არავის არასდროს ჰქონია საქართველოს ნაკრებში. თანაც — მოთხოვნა დიდი შეჯიბრის საგზურია. თავად ჟიროსის მოთხოვნა და ამბიციაც ეს არის. სწორ სამუშაოს კი უნდა მიემატოს ილბალიც — სიდლიერის უტყუარი ნიშანი ფეხბურთში.

ხალისის გარეშე კი ჟიროსი მაინც უცნობ კაცად რჩება ჩვენთვის. კვალიფიციური, ნაცნობი, სამუშაოდ მომართული, მაგრამ მაინც უცნობი. პირველ ბრძოლებამდე, რა თქმა უნდა.

ირაკლი ბაგჩელიძე

აკაუნა კილია

ბიგბაბოლივით თუ რაგინდარა კევივით დაღეჭილი, განუღი-
ლი და გაბერილი ამბავი დამთავრდა — საქართველოს ეროვნული
ნაკრების განვრთნაზე ხელი ალენ ჟირესმა მოახერხა.
მაგრამ სად მოდის ჟირესი? რა დახვდება აქ, გამარჯვებასა
და კარგი საქმის კეთებას დანატრებულ ქვეყანაში?
ჟირესი სამუშაოდ ძალიან პროვინციულ ქვეყანაში მოდის,
სადაც მენტალიტეტიც პროვინციულია, მაგრამ შარშან ნოემ-
ბერში მომხდარი მოვლენების შემდეგ ამ ქვეყანას შანსი გაუ-
ჩნდა, პროვინციული აღარ იყოს.

ჩია ფრანგი პროვინციაში



თოვლყაავში დანახული სამსახური

აქამდე ასე იყო — ევროპიდან ფეხბურთე-
ლები ნაკრებში ჩამოდიოდნენ და ჩვენც, პრო-
ვინციული მენტალიტეტისა და ეროვნული
ნიჰილიზმით გაძევილი საზოგადოება სხვი-
სგან განსხვავებულს მოვითხოვდით — საქა-
რთველო, ჰინდი, გულის ჩქროლვა, ცრემლი,
სისხლი, ბრძოლა... და ნაკრებიც წამდაუწუმ
ფლავდებოდა, ის არ იყო სახალხო გუნდი,
არც მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციის იყო,
ნაკრები იყო პროვინციული საქართველოს
ერთ-ერთი სახე, სადაც ცუდი ამბები ბევრად
უფრო მეტია, ვიდრე კარგი.

...ჟირესმა თბილისში, პირველი ვიზიტი-
სას აგრარული უნივერსიტეტის გვერდით
ნაგები ნაკრების ბაზა მოინახულა. თოვლ-
წყაბი იყო იმ დღეს და რა მინდორია დაგე-
ბული ამ ბაზაზე, ჟირესი კარგად ვერ ნახა-
ვდა. ბაზა ძირითადად ფიფას გრანტითაა
აშენებული, ხოლო მინდორისთვის ბელტები
კახეთიდან ჩამოხიდეს. არადა, ბაზაზე ჯერ
მინდორია მთავარი, მერე კვება, გათბობა,
საბანი, ლეიბი და აუზი. ევროპულ სათბუ-
რებში გამოყვანილი მინდორის ჩამოტანას
და დაგებას კი დაახლოებით 150 000 ევრო
უნდა; მაგრამ ლავოდები ახლოსაა და იქა-
ური ბალახიც იაფი ჯდება.

მოკლედ, ისეთი ევროპული კაცი გვჭირ-
დება, ფეხბურთის თამაშის გარდა იმასაც
რომ გვასწავლის, ფული რამდენი და რო-
გორ ვხარჯოთ. გავისხენით 2002 წლის მსო-
ფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლი, როცა
ჩვენს ნაკრებს ძალიან პრინციპული და ალბათ
გადამწყვეტი მატჩი ჰქონდა შინ რუმინეთის
ნაკრებთან. მაშინ გუნდი მწვრთნელებმა და
ფედერაციამ გერმანიაში გადასროლეს ამ
მატჩისთვის მოსამზადებელ შეკრებაზე, რაც
დაახლოებით 30 000 დოლარი დაჯდა. ჩა-
მოვიდა ნაკრები თბილისში და გუნდი რუ-
მინეთთან კი არ დარბოდა, დაიზღაზნებოდა
და 0:2-იც წაავო.

ფეხბურთის ფედერაციას, არც მის ამჟა-
მინდელ თუ უწინდელ ხელმძღვანელობას,
არ ჰქონიათ ფეხბურთის განვითარების სტ-
რატეგიული გეგმა. ფედერაციას ახლა ერო-
ვნული ჩემპიონატის და თასის გათამაშების
ჩატარების ტვირთი პროფლივამ ჩამოხსნა
და ჟირესის მოწვევითაც გაჩნდა შანსი, რომ
ეს ფრანგი სპეციალისტი საქართველოს ფე-
ხბურთის ფედერაციას სტრატეგიული გე-
გმის შექმნას პრინციპულად მოსთხოვს —
ეროვნული გარდა. სხვა ნაკრებებიცაა მი-
სახელი. მაგრამ გასწვდებიან კი ამას ჩია
ფრანგი და ჩვენი ფედერაცია? ყოველ შემთ-
ხვევაში, ჟირესმა უკვე უნდა იცოდეს, სად
მიდის — ქვეყანაში, სადაც საფეხბურთო
ინსტიტუტები ჯერაც სუსტია. ალბათ საე-
რთო საქმე კარგად წავა, თუ ახალგაზრდუ-
ლი ნაკრებისთვისაც მოხერხდება უცხოელი
მწვრთნელის მოწვევა — იქნებ მართლა მო-
ვახერხოთ ევროპული ოცნების ახდენა, რაც
აქამდე წარმოუდგენელი იყო.

თვითთრგუნვას მიყვებით — კარგი იქნება,
თუ ჟირესი იმას არ მიგვითითებს, რომ პრე-
სკონფერენციაზე გამარამოძარკებულმა ისე
უნდა იმუშაოს, რომ უკაპრო კოლეგას ზუ-
რგი და საჯდომი არ მიუშვიროს — თუ
ევროპაა, ევროპა იყოს.

მემახბე, რომლის ანათებს?

ახლა კი იმაზე ვთქვათ, რაც უკვე გვაქვს
და რისგანაც ჟირესმა თამაშების მომგები
საქართველოს ნაკრები უნდა გამოადნოს —
ჩვენი ფეხბურთელები.

დავიწყით იმით, რომ ამ დროისთვის სა-
ქართველოს ეროვნულ გუნდს მხოლოდ ერთი
ისეთი მეკარე ჰყავს, ვისაც სანაკრებო დო-
ნეზე შეუძლია თამაში — გიორგი ლომია.
და რა მოხდება მაშინ, თუ ლომია რაიმე
მიზეზით ვერ ითამაშებს?..

უკეთაა საქმე დაცვაში, სადაც კახა კა-
ლაძე და ზურაბ ხიზანიშვილი გვყავს. თუმც
ჟირესს 4-4-2 სქემა უყვარს და ვინძლო,
იუპ ჰაინკენსის დარად მანაც დაცვაში ათა-
მასოს ლევან კობიაშვილი. კიდევ ალექო
ამისულაშვილი გვყავს, ვინც იყო შუშაკის
„დინამოში“ სანაკრებოდ კი ჩაიკარგა, მა-
გრამ ახლაც კიევი „დინამოში“ და მისი
დიდად გვეიმედება.

მაგრამ საჭიროების შემთხვევაში ვინ იქ-
ნება ამ ოთხეკლის დუბლიორი? ვინც გაუ-
წევს კონკურენტის ამ კვარტეტს? ოთარ
ხიზანიშვილი მოსკოვის „დინამოდან“, გი-
ორგი შაშიაშვილი თბილისის „დინამოდან“,
ლამა სალუქვაძე თბილისის „ლოკომოტი-
ვიდან“, რევაზ ქემოკლიძე „თბილისიდან“...
უუნარო მცველები მართლაც არ არიან და
არცთუ ცოტა შეუძლიათ, მაგრამ ამთვან
რომელს აქვს ნათამაშევი ევროპაში? რუ-

სეთს ფეხბურთში ევროპას ჯერ ვერ დავა-
ტოლებთ, ევროპაში თამაში სულ სხვაა მი-
უხედავად იმისა, რომ ზოგიერთ რუსულ გუ-
ნდში ზოგიერთ ევროპულ გუნდზე მეტს უხ-
დიან ფეხბურთელებს.

ნახევარდაცვაში ჩვენს ნაკრებს ყველაზე
უფრო მარჯვენა ფლანგზე უჭირს. ლალო
ბურდულას სისწრაფე, ჯანი და მეტოქის ჩა-
მოცილების უნარი არ დაეწუნება, თუმც „დი-
ნამოში“ ის ფლანგიდან შუაში შეწივს და
ცოტა არ იყოს, ჩრდილში მოექცა. არიან
ისეთი სპეციფიური ფეხბურთელები, რომე-
ლთა გაუნივერსალეა შეუძლებელია და ფა-
ქტია, რომ ბურდულიც ასეთი ტიპის მოთა-
მაშეა. კიევის „დინამოსაც“ ბურდულმა სწო-
რედ მარჯვენა ფლანგზე თამაშით მოაწონა
თავი. ერთი სიტყვით, ჟირესს მარჯვნივ ბუ-
რდული თუ დახვდება, მეტი არაფერია. ნიჭიერ
ფეხბურთელია ლალო ახალაიაც, მაგრამ,
როგორც ჩანს, შუშაკი მას თავდასხმაში აბ-
რუნებს.

შუახაზის მარცხენა ფლანგზე დიდ კონ-
კურენტის უნდა ველოდოთ — ვინძლო, ჟი-
რესმა იქ კობიაშვილი გაამწესოს, ან დავით
კვიციანი, ლევან ცქიტიშვილი თუ გოგა
გახოკიძე.

მაგრამ რა ვუყოთ საყრდენებს? ამ პოზი-
ციაზე რამდენჯერმე უთამაშიათ ხიზანიშვი-
ლსა და კობიაშვილს, მაგრამ მერე დაცვა?
ყველაფერი ეს ჟირესის გასარჩევია და მას
საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდანაც
რომ მოუწევს არცთუ ცოტა ფეხბურთელის
მიწვევა, გვეც ნაღვია. ჟირესი აუცილებლად
დაფიქრდება გიორგი ნემსაძეზე და იქნებ
„უნიონში“ გადასულ დავით სირაძითაც და-
ინტერესდეს.

აგერ, პლემიეიკერებიც — თუ გიორგი
ქინქლაძე პრემიერლიგურ „ბოლტონში“ ან
რომელიმე სხვა გუნდში ჩაირიცხება, ამის


მერე თუ გახდება ჟირესის ნაკრების კანდი-
დატი. აი, მალხაზ ასათიანის ამბავი კი
უცნაურია — იური სიომინი მოსკოვის „ლო-
კომოტივში“ მას ლიბეროდ ათამაშებს. ვფი-
ქრობთ, ასათიანის ხსენა ერთადერთ რამეშია
— ისეთ მარიფათთან აგენტთან დაიჭიროს
საქმე, ვინც წუმპე რუსეთიდან ნორმალურ
ევროპულ გუნდში გადაიყვანს.

ისეთი კლასმაღალი ფორვარდი, როგო-
რც შოთა არველაძეა, ახლა უქმადაა —
რამდენიმე დღეში მუხლზე ოპერაციას გაი-
კეთებს და მერეა გვეცოდინება, როდის
დაიწყებს თამაშს. კარგი სეზონი აქვს ალე-
ქსანდრე იაშვილს — ბუნდესლიგის გუნდში
ლიდერი რომ ხარ, პატარა საქმე არაა. სი-
ომინელი მიხეილ აშვეთიას ცაციაც დიდად
უნდა გამოადგეს ჟირესს და გიორგი დემე-
ტრადეს თუ წაუვდა ფინტები, მეტოქისთვის
რეტის დასხმა ძნელი არ უნდა იყოს. კიდევ
რატი ალექსიძე და ლალო ახალაიაც გვევა-
ნან, მაგრამ ისიცაა, რომ ჩამოთვლილი ფო-
რვარდებიდან ყველას როდი მოუკიდებია ფე-
ხი ევროპაში. რაც შეეხება 19 წლის სა-
ნდრო იაშვილს, მას გამოცდილება კი აკ-
ლია, მაგრამ ნიჭი ნამდვილად არა.

მოკლედ, მაღალი კლასის ფეხბურთელები
ძალიან მეჩხრად გვეყვანან, მაგრამ ჟი-
რესს ნაკრების კანდიდატთა დიდი სია ექ-
ნება. ჟირესს შემახტეხავით მძიმე სამუშაო-
ს შესრულება მოუწევს, მაგრამ ნათურია-
ნი მუხარადი ალბათ არ დასჭირდება —
თვალეში ცეცხლი უნთიაო, თქვეს და ჯე-
რჯერობით ასეც სჩანს.

ერთიც — იქნებ, ალბანეთს ახლავე დავე-
წიოთ — ჰანს-პეტერ ბრიგელი თვეში ჯა-
მაგირად 17 ათას ევროს რომ იღებს, საჯა-
როდ ითქვა და ჟირესის ხელფასი რაღა
საიდუმლოა?!

დავით თავართილაძე



ვილას აღარ გაუხარია ჩვენზედა...

ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამპი საქართველოში ექვსი წლის წინ ამ დროს ჩამოვიდა და ოქტომბრამდე იმუშავა. მწვრთნელ ბოსკამპის კვალიფიკაცია ჩვენში, ექვს არ იწვევდა, თუმცა თბილისის „დინამოში“ მის მუშაობას კაცი დამაკმაყოფილებლად ვერ უნოდებ — ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე კიშინიოვის „ზიმბრუსთან“ მარცხი ჰოლანდიელს არ აპატიეს და დაითხოვეს. თუმცა იქამდე იოჰან ბოსკამპი მეორე, საქართველოს ნაკრების მწვრთნელის სკამზეც იყო მოკალათებული — გუცავეის მერე ეროვნული გუნდი მას ჩააბარეს. ახლანდელი გადასახედიდან კი სწორედ ბოსკამპისეული საქართველოს ნაკრები ითვლება ისეთ გუნდად, რომელიც ევროპულთან მიახლოებულ, გამართულ ფეხბურთს თამაშობდა



ბოსკამპი

ბოსკამპი: ჩვენი გიგანტის შანსი ჰოლანდიელს გულით უნდა, ოღონდ ჯარ გული არ უშვებს

და, აი, ახლა, ექვსი წლის შემდეგ, იან ბოსკამპი როგორც მას ბელგიაში თუ ჰოლანდიაში მიმართავენ, შესაძლოა, კვლავ დაბრუნდეს ქართულ ფეხბურთში, ამჯერად ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად. ფეხბურთის ფედერაციას, როგორც პრეზიდენტმა მერაბ ჟორდანიამ გვითხრა, ბოსკამპთან მოლაპარაკება უკვე დაწყებული აქვს, თუმცა საქმის მოგვარებას მწვრთნელის ჯანმრთელობის მდგომარეობა აფერხებს — მან თებერვალში გულის ოპერაცია გაიკეთა. — ახლა შედარებით უკეთ ვარ, თუმცა ისევ ვწევარ და ექიმები ზედამხედველობენ — გვითხრა იოჰან ბოსკამპმა გუშინ, შინ რომ დავუკავშირდით — მათი თქმით, სარეაბილიტაციო კურსი ნორმალურად, გაურთულებლად მიმდინარეობს და მამედებენ, რომ ორ კვირაში სრულად გამოჯანმრთელდები.

— რამდენიმე კითხვა გვაქვს და ხომ არ შეგაწუხებთ?
— გისმენთ, ლაპარაკი ჩემთვის არავის აუკრძალავს.
— მაშ, გვითხარით, მერაბ ჟორდანიამ რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები შემოგთავაზათ, რა უპასუხებთ?
— კონკრეტული პასუხი არ მიმიცია. მესიამოვნა, რომ დამიკავშირდა და საინტერესო საქმე შემომთავაზა.
— სხვა არაფერი გითქვამთ?
— ბევრი არ გვისაუბრია, ფედერაციასთან მოლაპარაკება, ჩათვალეთ, რომ გრძელდება. ბევრი საკითხია დასაზუსტებელი და შესათანხმებელი. საბოლოო პასუხამდე უნდა ვიფიქრო.
— აქ ჩამოსვლის წინააღმდეგი ხომ არ ხართ?
— არა, რატომ უნდა ვიყო წინააღმდეგი? საქართველოსთან კარგი მოგონებები მაკავშირებს, მეგობრები

მყავს და ქართულ ფეხბურთზე საკმაოდ ბევრიც ვიცი.
— თქვენი დონის მწვრთნელისთვის ახალგაზრდული ნაკრები ცოტა ხომ არ იქნება?
— რატომ ამბობთ ასე?! საქმე საქმეა, მწვრთნელმა უნდა იმუშაოს და შესაძლოა ისეც იყოს, რომ ახალგაზრდებთან მუშაობა უფრო საინტერესო და მიმზიდველი გამოდგეს.
— მით უმეტეს, თქვენთვის, რომელსაც საქართველოში არაერთი ნიჭიერი, პერსპექტიული ფეხბურთელი დაუყენებია გზაზე.
— ზურაბ ხიზანიშვილთან ურთიერთობა ახლაც მაქვს და ძალიან მიხარია, რომ უკვე უმაღლეს დონეზე თამაშობს. სხვათა შორის, მას ახლახან ვესაუბრე, მითხრა, რომ საქართველოში კიდევ ძალიან ბევრი პერსპექტიული ფეხბურთელია. მწვრთნელმა მათ უნდა შეხელოს, შესაძლებლობებში დაარწმუნოს და თავის გამოჩენის საშუალება მისცეს.
— როგორც ექვსი წლის წინ თქვენ გააკეთეთ...
— მე ჩემი საქმე გავაკეთე ფეხბურთელების ნიჭი დაინახე და შეძლებისდაგვარად გამოვიყენე. ხიზანიშვილს გარდა ჩემმა მეგობარმა ვია გვეუჩამამაც მითხრა, ქართულ ფეხბურთს ტალანტები არ აკლდებაო.
— მოკლედ, საქართველოში დაბრუნებაზე უკვე სერიოზულად ფიქრობთ?
— ჯერ მოლაპარაკებები გრძელდება და ვნახოთ, როგორ დასრულდება. უკვე გითხარით, ბევრი საკითხია გასარკვევი. ისე კი, დაბრუნების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.
— გასარკვევს როდის გაარკვევთ?
— ორ კვირაში დამირეკეთ და უფრო კონკრეტულად გესაუბრებით. იქამდე კი ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც დამიკავშირდება.
— ალბათ იცით, საქართველოს ნაკრების მწვრთნელად ფრანგი ალენ ჟირესი რომ დაინიშნა. იცნობთ მას?
— არ ვიცნობ, მასთან არანაირი ურთიერთობა არ მაქვს. მხოლოდ ის ვიცი, რომ ჟირესი ძალიან ძლიერი ფეხბურთელი იყო.
— გმადლობთ, მალე გამოჯანმრთელდებათ გისურვებთ...
— გმადლობთ მოკითხვისთვის.

ბობა ინასარიძე

რას გადაურჩა კალაძე

ბახა პანკაროს თან აქვს, მან უმუქრება

რა ხდება? რატომ ვერ ან არ თანაშობს კალაძე? უკვე მერამდენე მატჩია, საქართველოს ნაკრების მკველს „მილანის“ სათადარიგოთა სკამზე უნევს ყურყუტი, მის ნაცვლად კი სეზონის წინ „ლაციოსგან“ ნათხოვარი ჯუზეპე პანკარო თამაშობს.

ბუნებრივია, გაჩნდა კითხვა და გაჩნდა აზრიც: ზაფხულში ევროპის ჩემპიონატია, პანკარო კი იტალიის ნაკრების ჯანდიდატია და ყოფილ რომაელს „მილანის“ მწვრთნელი ქართლ ანჩლოტი ჯოვანი ტრაპატონის თხოვნით ხომ არ ათამაშებს?

ახას გუშინ მილანში დავურეკეთ და პირველად უთამაშებლობის მიზეზზე დავუკითხეთ...

— საგანგაშო არაფერია. ექიმებმა და გუნდის ფიზიოთერაპევტებმა სპეციალისტმა ერთკვირიანი საგანგებო პროგრამა შემიღვეინეს მოსალონიერებლად. იმ წყეული ტრავმის მერე თამაში რომ დავიწყე ფიზიკურად მთლად ჯანზე ვერ ვიყავი, თავს მაინც სუსტად ვგრძობდი. ახლა გაცილებით უკეთ ვარ.
— ისევ იმ ტრავმამ ხომ არ შეგახსენა თავი?

— არა, საბედნიეროდ. ფიზიკურად თავს ძალიან სუსტად ვგრძობდი და კლუბის ლაბორატორიულ ცენტრში ამიტომაც მიწვევდა ერთი კვირა ჰიარული. სხვათა შორის, „მილანის“ ფიზიოთერაპევტების მწვრთნელმა დანიელ ტონიანიმ ახლად გამიმხილა, ისეთი ტრავმა გქონდა, საკვებით შესაძლო იყო, ფეხბურთისთვის თავი დაგვენებინაო.

— შენი უთამაშებლობის მიზეზი სხვა რამ გვეგონა: ევროპის ჩემპიონატი ახლოვდება და „სკუადრა აძურას“ კანდიდატ ჯუზეპე პანკაროს ამიტომ ხომ არ აძლევენ თამაშის საშუალებას. იქნებ ტრაპატონისაც ეთხოვა ანჩლოტისთვის...

— არა მგონია, ეგრე იყოს. ევროჩემპიონატს, ვფიქრობ, მნიშვნელობა არ აქვს — ძირითადად თამაშობს ის, ვინც ღირსია. დღეს პანკარო ჩემზე უკეთეს ფორმაშია და დამსახურებულადაც თამაშობს, მაგრამ ყურების ჩამოყრას და სათადარიგობას ნამდვილად ვერ შევეუბები. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელს თუნდაც „მილანის“ სათადარიგოთა სკამზე ჯდომა არაფერს მარგებს. მჯერა, ძირითადად ადგილს მალე დავიბრუნებ.

— „მილანი“ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალშია, შეტოქედ ვის ისურვებდით?

— ალბათ, უფრო „დეპორტივოს“ ან „მილანს“.

— „რეალი“, „არსენალი“, „ჩელსი“ ან „პორტუ“, რომ შეგხვდეთ?

— პირველი სამიდან რომელიმესთან თამაში უფრო ფინალს და ამშვენებდა. „დეპორტივოს“ და „პორტუს“ მარშანდელი სეზონიდან ვიცნობთ, „მილანსთან“ კი საინტერესო იქნებოდა. თუმცა, ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ვინ შეგხვდება, ჩემპიონთა ლიგა წლეულსაც უნდა მოვიგოთ.

— ლიგა ლიგად და, სკუადრისთვის გადაწყვეტი მატჩი კვირას, „იუვენტუსთან“ ველით...

— ძალიან სერიოზული თამაში იქნება და უნდა მოვიგოთ. თუ „იუვენტუს“ დავამარცხეთ, ვფიქრობ, სკუადრის ბედი 80 პროცენტით ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება, მაგრამ „რომასაც“ მაგრად აქვს აკრეფილი, ისინი ბოლომდე იბრძობებენ. კაპელოს ძალიან მაგარი გუნდი ჰყავს. რაც შეეხება „იუვენტუსს“ საკვირაო მატჩს, მათ პრობლემები აქვთ, ზოგი ტრავმირებულია, ზოგიც სათანადო კონდიციებში ვერ არის. ჩვენ კი ახლა კარგ ფორმაში ვართ და დიდი შანსია, ტურიწლები „დელე ალპიზე“ დავამარცხოთ. ტურინში ასეთი სერიოზული განწყობით მივიდვართ.


— 30 მარტს კი საქართველოს ნაკრები გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს მანჰაიმში ეთამაშება. ფრანგი ალენ ჟირესის ქართული დებიუტიც იქ შედგება, სურს უძლიერესი შემადგენლობა შეკრიბოს...

— ვიცი და ეს კარგიცაა. 30 მარტი უფას დღეა და, რა თქმა უნდა, მეც ვიქნები — „მილანი“ უპრობლემოდ გამიშვებს.

გიორგი გუზაბიძე



1998 წელი. იოჰან ბოსკამპს ეროვნულ სტადიონზე დებიუტი თანაშემწე ფრანსუა დე იონგისა და მეგობარ ზაზა ბოკერის თანხლებით ჰქონდა



NBA რეზულტარული ჩემპიონატი

დაგლასბროს მამბრეიდიმ 62 ქულა ცოტა გამოდგა

უსინარულო გამოდგა ეს სეზონი „ორლანდო მეჯიქსისთვის“...

ბაა, თორემ უილტონ ჩემბერლენი ყოველ თამაშში აგდებდა ამდენს...

დავუბრუნდეთ მაკრეიდის, რომელსაც უკვე პირველ მეოთხედში 24 ქულა შეეგროვებინა...

კაცი მეორე წელია სეზონის ბომბარდირი ხდება, მაგრამ შელახული სპორტული ამბიციის უფლებას არ აძლევს...

ერთი სიტყვით, მთავარი მოგე-

10 მარტი

ნიუ ჯერსი 98:97 დენვერი
ნიუ ჯერსი: კიდი (8), კიტლზი (2), ჯეფერსონი (26), მარტინი (28), კოლნი (9)...

ორლანდო 108:99 ვაშინგტონი
ორლანდო: ლუ (10), სტივენსონი (8), მაკრეიდი (62), ჰოვარდი (14), დეკლერკი (2)...

პორტლანდი 92:79 მინესოტა
პორტლანდი: სტუდემიერი (28)
მინესოტა: გარნეტი (20)

აოსტონი 109:117 ლაიპარსი
აოსტონი: პირსი (30)
ლაიპარსი: ონილი (28 ქულა, 17 მოხსნა)

ტორონტო 92:106 კლივლენდი
ტორონტო: მარშალი (18)
კლივლენდი: ილგაუსკასი (30)

დეტროიტი 98:65 ჩიკაგო
დეტროიტი: ბილფი (19)
ჩიკაგო: ჯონსონი (10)

მილუოკი 94:80 ატლანტა
მილუოკი: ვან პორნი (23)
ატლანტა: ტერი (20)

იუტა 91:77 გოლდენ სტეიტი
იუტა: კირილენკო (20 ქულა, 15 მოხსნა)
გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (19)

ნიუ ორლანდი 95:84 მაინამი
ნიუ ორლანდი: დევისი (33)
მაინამი: ჯონსი (18)


სან ანტონიო 108:90 კლიპერსი
სან ანტონიო: როუზი (21)
კლიპერსი: მეჯიტი (21)

Table with 3 columns: Team, Points, Rebounds. Includes teams like New Jersey, Orlando, Portland, etc.

Table with 3 columns: Team, Points, Rebounds. Includes teams like Indiana, Detroit, New Orleans, etc.

Table with 3 columns: Team, Points, Rebounds. Includes teams like Minnesota, San Antonio, Dallas, etc.

Table with 3 columns: Team, Points, Rebounds. Includes teams like Sacramento, Los Angeles, Phoenix, etc.



ეროვნული გიგანტი

ფოტო: დონალდ ბრუნი

ჭაბუკთა ღრო მოდის ოქრუაშვილი ბრძოლას აპირებს

1-5 აპრილში ხორვატიაში ევროპის 2004 წლის ჭაბუკთა ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი გაიმართება...

სამწუხაროდ, ვერ ხერხდება თბილისში სრული შემადგენლობის შეკრება...

დანარჩევების ჩამოსვლა ვერ მოხერხდება? ხორვატიაში მომზადებული და შეთამაშებული გუნდით თუ არ ჩაველით, ძალიან გავიჭირდება...

ამ გუნდს ერთად თამაშის წელიწადნახევრიანი გამოცდილება აქვს, ძალიან კარგად არიან შეთამაშებულნი...

მეოთხე ლეგიონერი რევაზ ათანელაშვილია...

ათანელაშვილმა გუშინ სლოვენის თასი მოიგო ახალგაზრდებს შორის...

აქ მყოფებს ყოველ დღე ავაჯიშებთ?

ყველა აქ მყოფის შეკრებაც ვერ ხერხდება ყოველდღიურად...

მოწინააღმდეგეებზე თუ ფლობთ ინფორმაციას?


დრეკენ ბრაიკოვიჩმა ინფორმაცია მოგაწოდა, ხორვატიის ნაკრები 4 დღეა, შეიკრიბაო...

ლიას ფრანგებთან საკუთარი ანგარიში გვაქვს გასასწორებელი...

დაბოლოს, პროგნოზი: მოვახერხებთ ფინალში გამსვლელსამეულში მოხვედრას?

მე არ მიყვარს პროგნოზების კეთება და ახლაც თავის შევიკავებ...

ირაკლი პირტაია



გავს ტრეისი მაკრეიდი 62 ქულის ჩამგდებ კაცს?

რუსეთის ნაერების ყიდევ ერთხელ დამარცხების შემდეგ ბორჯღალოსნებმა ნაწილობრივ დაიბრუნეს ამ ბოლო დროს ცოტა არ იყოს, შეტახული ავტორიტეტი და გულშემოტივარი ჩვენი ნაერების მორიგი წარმატების მოლოდინშია. აი, რაგბის საერთო ქართულ ოჯახში კი აზრთა დიდი ჭიდილია, აქ სულ სხვა დაძაბულობა იგრძნობა. მსოფლიოს თასზე პირველი გასვლა ყველა ნორმალურ ქვეყანაში აღმავლობის საფუძვლად იქცეოდა, ჩვენი კი ეს პროცესი გვიანდება. ნაერების დუბჭირ ყოფაზე ბევრი დაწერილია, საკლებო და ბავშვთა რაგბისაც ძლივს გააქვთ თავი...

მოგვხედეთ!

ხულიგანა წასიარაბისთვის



მამუკა ტყველაშვილი

ენიშო ლეშავას ფოტო

— ქართული რაგბი სტატეგიაშია. მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლით ყველაფერს ხაზი არ უნდა გადაესვას. ჩავლილმა მატჩებმა გვაჩვენა, რომ ჩვენ სულ სხვა რაგბის ვთამაშობთ, მეტოქეები კი — სხვას. არა მარტო ელიტაზე ვლაპარაკობ, არამედ გაცილებით დაბალ დონედ წოდებულ ნაერებზეც — თავის გულისტკივილს გამოთქვამს კლუბი „ხულიგანას“ თავკაცი **მამუკა ტყველაშვილი**.

— ასე თვლით, რომ აღმავლობა შეფერხდა?

— მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათამაშებ მორაგებებს არ უნდა გადაუსვან ხაზი. მე მივესალმები ახალი კანდიდატების გამოცდას, თუმცა ეს შეიძლება ძველებთან კომბინირებითაც მომხდარიყო. ამ ექსპერიმენტებმა კი ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს გავედით მსოფლიოზე და მორჩა, შემდეგ თამაშები აღარ გვექნებოდა მოსაგები.

— ძველებში ვის გულისხმობთ?

— ლევან ცაბაძის იგნორირება დიდი შეცდომა იყო. ერთა თასის თამაშებზე იცით, რა გამოჩნდა — ნაერებს ლიდერი არ ჰყავს, ის პიროვნება, ვინც გუნდს მუხტს მისცემს.

— ფიქრობთ, შეკრული გუნდი გვაყვებს?

— რუსეთთან მატჩის შემდეგ როგორც მწვრთნელებს, ასევე რიგით გულშემოტივრებს იმედი მოგვეცა, როცა მოედანზე მებრძოლი ბიჭები ვიხილეთ. ისინი გააზრებულადაც ასრულებდნენ დავალებებს, რაც პორტუგალიასთან საერთოდ არ ჩანდა. ესპანეთზე ვერაფერს ვეტყვი, ფიჩი არ მინახავს.

— რუმინეთამდე ბევრი ვაკლია?

— რუმინეთის ნაერების ერთადერთი ჩავარდნა იყო ჩვენი მოგებული მატჩი ბუქარესტში. ამ თამაშზე გამოჩნდა, რომ რუმინეთთან თანასწორი მეტოქეობა და მოგებაც შესაძლებელი ყოფილა, მაგრამ მათ მალევე დაიბრუნეს ჩვეული ფორმა და თბილისში „მუხის ფოთლებმა“ მეტად მაღალი დონის რაგბი შემოგვთავაზეს. რუმინეთის ნაერებთან ჩვენი თამაშით და მორაგებების ამ კონტინგენტით მოგება წლეულს არარეალური მგონია.

— საქართველოს ჩემპიონატზეც ვთქვით, გამოსწორდა რამე?

— არაფერიც არ გამოსწორდა. შარშანდელი ჩემპიონატი საშინელება იყო, ძლივს ჩატარდა გასაცოდავებულ ვარკეთილის მეურნეობის მოედანზე. აღარაფერს ვამბობ ქუთაისის „აია“-ს სტადიონზე, იქ ბალახის ნაცვლად ბეტონია.

— აღბათ ტრავმებზეც ხშირია...

— ძალიან დაწყებული დიდი გუნდებიდან, დასრულებული ბავშვებით „ლაზარეთად“ გადავიქცეთ. მოტენილობებია მეტწილად, თორემ სტაფილოკოკებზე და მიკროტრავმებზე საუბარიც არ ღირს.

— უკვე ყველა ხელაკვს, რომ ჩემპიონატი მსაჯების ღეფიცტს განიცდის...

— შესანიშნავად ვეხსენებ მაგ. მსაჯი დაეკლდა არ არის, „ნიჩინას“ ბალი გვეკონტაქტებს ვისაც უნდა, მაყურებელს, მსოფლიოს თუ სხვას, შეუძლია, შეურაცხყოფა მიავსოს, სკემოს და შემდეგ არბიჯრი თამაშს აგრძელებს. ასეთი ვითარებაში თბიქტურ შედეგებს ვეფიქრებ. შეუძლებელია ეს მსაჯებიც ხომ აღამინები არიან და ვინც მეტ ხეწილას მოახდენს მათზე, ისინიც მათ სასარგებლოდ უსტყვნიენ. სწორედ მსაჯობის გამო დაიჩაგრა კლუბი „ხულიგანა“.

— რატომ?

— იმიტომ, რომ წესიერად ვიქცევით.

— უკვე ქარზე მოგვადგა ახალი სეზონი, რას აპირებთ, როგორ ემზადდებით?

— სანამ რიგგარეშე ყრილობა არ მოეწყოება, არ ვაირკვევთ, თუ ვინ იქნება რაგბის კავშირის პრეზიდენტი და მისი გუნდი, მანამდე ჩემპიონატში და თასის გათამაშებაში მონაწილეობისგან თავს შევიკავებთ.

— მიზეზი?

— უკმაყოფილონი ვართ ჩემპიონატის ორგანიზებით, სტადიონით, გასახდელისა არქონით, მსაჯებით და, რაც ყველაზე სათუთად მოსაპყრობი თქმაა, ბავშვთა რაგბის იგნორირებით.

— ესე იგი, ისლა დაგრჩენიათ, ცვლილებებს დაელოდოთ...

— ღიას, ასლა.

ენიშო ლეშავას

თევზაძე სამინისტროში: რეორს თევზი წყალში

მოგვხსენებთ, საქართველოში ახალმა დროებამ ბევრი სიახლე მოიტანა. ამას სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კულტურის სამინისტროსადმი დაქვემდებარებაც მოჰყვა და შეიქმნა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის „გაერთიანებული“ სამინისტრო.

მაგრამ ყოველივე ახალი კარგად დაიწყებული ძველიაო და, უნდა გავიხსენოთ, რომ სპორტი და კულტურა ოდითგანვე განუყოფელი იყო.

ანტიკურ ოლიმპიურ, ისთმიურ, დელფოსურ თუ სხვა მათ მსგავს თამაშობათა პროგრამაში სპორტულ შეჯიბრებებთან ერთად კულტურული პაექრობებიც იმართებოდა. ამ თამაშების ბევრი მონაწილე ერთდროულად სპორტულ სარბიელზეც გამოდიოდა ხელოვანთა კონკურსებშიც. მათ შორის იყვნენ ისტორიკოსი პეროდოტი, ფილოსოფოსები პლატონი და სოკრატე, მედიცინის მამა ჰიპოკრატე, ორატორი დემოსთენე, მწერლები და პოეტები ლუკიანე, სოფოკლე, ევრიპიდე... პითაგორა კი არა მხოლოდ სახელგანთქმული მათემატიკოსი, არამედ მუშტი-კრივში ოლიმპიური ჩემპიონიც გახლდათ.

სპორტი და კულტურა არც თანამედროვე ოლიმპიურ თამაშებზე დაამორეს ერთმანეთს. 1912-დან 1948 წლამდე მათ პროგრამაში ხელო-

ვნათა კონკურსებიც იმართებოდა, იქ გამარჯვებულნი კი ისეთივე მედლებით ჯილდოვდებოდნენ, როგორიცაა სპორტულ სარბიელზე თავგამოჩენილნი.

კულტურა ახლა ფართოდაა წარმოდგენილი ოლიმპიურ თამაშებზე, სადაც იმართება მრავალი გამოფენა, კონცერტი...

ერთი სიტყვით, იმის თქმა გვიწევს, რომ კულტურისა და სპორტის სფეროში დღევანდელი სიახლე, მათი ერთ სამინისტროში დაქვემდებარება უპირანი ჩანს.

გუშინ კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრმა გიორგი გაბაშვილმა საზოგადოებას თავისი მოადგილეები წარუდგინა. ესენი არიან, როგორც მინისტრმა ბრძანა, „შესანიშნავი, ღირსეული პიროვნებები“: ფინანსურადმინისტრაციულ დარგში — გიორგი ნიჟარაძე, ძეგლთა დაცვის სფეროში — ნიკოლოზ ვაჩიშვილი, სპორტში — თამაზ თევზაძე, კულტურის განხრით — თამარ ქვარიანი.

გიორგი გაბაშვილმა გაგვაცნო თავისი მოადგილეების ბიოგრაფიული მონაცემები, დამსახურებათა ნუსხა და წარმატებები, ჩვენ კი, ჩვენივე ინტერესთა სფეროდან გამოდინარე თამაზ თევზაძეზე შევჩერდებით.

გიორგი გაბაშვილმა თევზაძე წარმოგვიდგინა როგორც „სპორტის

ღიდი მცოდნე და უნიკალური გამოცდილების მქონე“, რაშიც ძნელია, მინისტრს არ დავეთანხმოთ.

თამაზ თევზაძემ დამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი, მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა და გახლავთ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ჰიდრაულიკის კათედრის დოცენტი, მაგრამ სპორტშიც შინაური კაცია და ამ სფეროში მრავალწლიან გამოცდილებას მოიძვეს.

თევზაძე თავის დროზე ხელობურთს მისდევდა, იყო საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტულ ფედერაციებთან ურთიერთობის ხელმძღვანელი, ევროსაბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის ექსპერტ-დელეგატი, ევროსაბჭოსთან არსებული საინფორმაციო პალატის — „სპორტი ყველასათვის“ — წევრი, ევროპის არასამთავრობო

სპორტული ორგანიზაციების წევრი და წარმომადგენელი საქართველოდან. ევროპის ოლიმპიური კომიტეტის სამუშაო ჯგუფის („ევროკავშირი“) წევრი, მონაწილეობდა მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებაში, სემინარში თუ კონფერენციებზე.

ახლა ეკახლავთ ევროსაბჭოს სპორტის განვითარების კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს წევრი, საქართველოს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის გენერალური მდივანი...

ერთი სიტყვით, თამაზ თევზაძე სპორტში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, ამიტომაც იმედია, ახალ თანამდებობაზე ხელს შეუწყობს ახალი სამინისტროს ეფექტური სტრუქტურული მექანიზმის შექმნას და სპორტის განვითარებას.

ამთავდილ ბურასაშვილი



ნიკოლოზ ვაჩიშვილი, თამაზ თევზაძე, გიორგი ნიჟარაძე, თამარ ქვარიანი და გიორგი გაბაშვილი

მურამ დრულუაშვილის ფოტო

